ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 26 მაისი, 2022 №102 (8880) ფასი: 80 თეთრი

## „ტაშს ვუკრავ აშშ-ის საელჩოს ასეთი ქმედებისთვის“



კელი მოსამართლე ჩხიკვაძის პროგრამიდან მოხსნაზე

გვ.5

# „კობახიძე ბუჩქებიდან გამოძვრა, ბიძინამ მოჰკიდა ხელი, თმა ვერ დავარცხნა, მაგრამ ხელისუფლებაში დასვა“

გია ხუხაშვილი: „ქართულ ოცნებას“ არაფრის შეცვლა არ სურს და ყველაფერი მუქთად უნდა“



გვ.2



„ახლა რომ ჩვეულებრივი სიტუაცია იყოს, დანამდვილებით გეტყოდით, რომ ამ სტატუსს არ მოგვცემენ. უბრალოდ, გეოპოლიტიკური არაორდინარული ვითარება შეიქმნა და, პირდაპირ ვთქვათ, უკრაინის ხარჯზე უკანა კარიდან ვიპარებით!“

## „ქართულმა ოცნებამ“ შესანიშნავი ოპოზიცია შეიქმნა“



გვ.3

დავით ჭიჭინაძე: „ამ ქვეყანაში რეალური ცვლილებები პარლამენტში შესვლით რომ არ მოვა, ამას ყველა ხვდება“



გვ.4

## ევროკავშირში შესვლა მოლდოვის მოსახლეობის ნახევარს უნდა

უკრაინისათვის ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მინიჭება ნიდერლანდის საგარეო მინისტრსაც აეჭვებს

## „ხელისუფლებამ სააკაშვილის ხერხებს არ უნდა მიმართოს“



გვ.4

პეტრე მამრაძე: „მთავრობამ მეტი უნდა იზრუნოს იმაზე, რომ დასავლეთში პარტნიორები ჰყავდეს“

## პრემიერ-მინისტრმა დავოსის ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში მონაწილეობა მიიღო პანელში — „სამეზობლოსთან ევროკავშირის პარტნიორობის ხელახალი გააზრება“



გვ.3





## ნელი დოროყაშვილს სხეულზე დაზიანება ნებისმიერი ფორმით შეეძლო მიეღო

გვ.5

1993230720223

**3** „გამოდით პარლამენტიდან“ შალვა ნათელაშვილი ოპოზიციას

„კობახიძემ რომ გააკეთა, ასეთი განცხადებები კეთდება ვენესუელასა და სირიაში“

**6** ტეხასის სკოლაში დაღუპულთა რაოდენობა 21-მდე გაიზარდა

**5** ლაგოდეხში ადამიანი ცოცხლად დაიწვა

**6** მოლდოვის ყოფილი პრორუსი პრეზიდენტი დოდონი დააკავეს

# „კობახიძე ბუჩქებიდან გამოძვრა, ბიძინამ მოჰკიდა ხელი, თმა ვერ დავარცხნა, მაგრამ ხელისუფლებაში დასვა“

## გია ხუხაშვილი: „ქართულ ოცნებას“ არაფრის შეცვლა არ სურს და ყველაფერი მუქთად უნდა“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ანალიტიკოსი გია ხუხაშვილი პასუხობს.**



***– ბატონო გია, ჩვენი ქვეყანა კანდიდატის სტატუსის მოლოდინშია. ხელისუფლება და ოპოზიცია კვლავაც იმაზე დავობენ, ვინ უფრო მეტად უშლის ხელს ამ პროცესს და ვინ ვისი დასმენით არის დაკავებული დასავლეთში. საზოგადოების დიდი ნაწილი კი მიიჩნევს, რომ ქვეყნის ინტერესს ხელისუფლებაც აზიანებს და ოპოზიციაც. რას ფიქრობთ თქვენ და რას ელით?***

– ბუნებრივია, ყოველთვის ასე ხდებოდა და ახლაც ასე ხდება. არაფერი არ შეცვლილა, ისევ ორი მონოლოგი. თუ რამე წარმატებაა, ისევ თავის თავზე მიწერა და, თუ რამე მარცხია, მოწინააღმდეგისთვის გადაბრალება. ამ პრიზმაში უყურებს ჩვენი პოლიტიკური ელიტა პროცესს. სახელმწიფო ინტერესი უკანა პლანზეა გადაწეული და მხოლოდ ამ პროვინციულ, შიდაპოლიტიკურ იწილობიწილოს ვუყურებთ მრავალი წელია. უბრალოდ, გამიკვირდებოდა, სხვანაირად რომ იყოს. ხდება ისე, რაც დამახასიათებელია ჩვენი პოლიტიკური პროცესისთვის.

***– რამდენად რეალურად მიგაჩნიათ ის ბრალდებები, რომ ოპოზიცია მიზანმიმართულად აზიანებს ჩვენი ქვეყნის ევროინტეგრაციის პროცესს? ღარიბაშვილს თუ დავუჯერებთ, დერეფან-დერეფან დადიან და იხვეწებიან, სტატუსი არ მოგვცენო.***

– ოპოზიცია ამას კი არ ითხოვს, ოპოზიცია ამახვილებს ყურადღებას იმ პრობლემებზე, რომლებიც არის ჩვენთან. ეს პრობლემები რეალურად არსებობს, ხელისუფლება კი ამას სხვანაირად ასაღებს. ეს არის ჩვეულებრივი, უსაგნო პოლიტიკური კამათი და მეტი არაფერი. რა თქმა უნდა, ორივე მხარე ემზადება იმ გადაწყვეტილებისთვის, რომელიც იქნება მიღებული ჩვენთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით და წინასწარ ამზადებენ დღის წესრიგს, თუ წარმატება იქნება, თვითონ მიიწერონ, ხოლო წარუმატებლობა მოწინააღმდეგეს დააბრალონ. ამისთვის ეძებენ არგუმენტებს და სწორედ ამ არგუმენტებით საუბრობენ. ეს არის მზადება სწორედ ამ გადაწყვეტილებისთვის. ხელისუფლება ცდილობს, თუ რამე ისე არ მოხდა, ოპოზიციას დააბრალოს, რაც ყველას კარგად გვესმის, რომ ილუზიაა. დასავლეთი ოპოზიციის მიტანმოტანილი ამბებით არ აყალიბებს თავის პოზიციასა და პოლიტიკას. თუ ვინმე ასე ფიქრობს, სრული სისულელეა! ხელისუფლებას ნამუსი ხომ არა აქვს. თუ უარი მივიღეთ სტატუსზე, გამოვლენ და იმასაც იტყვიან, ჩვენი ომში ჩათრევა სურდათ, ვერ ჩაგვითრიეს და ამისთვის გვსჯიანო.

**„ახლა რომ ჩვეულებრივი სიტუაცია იყოს, დანამდვილებით გეტყოდით, რომ ამ სტატუსს არ მოგვცემენ. უბრალოდ, გეოპოლიტიკური არაორდინარული ვითარება შეიქმნა და, პირდაპირ ვთქვათ, უკრაინის ხარჯზე უკანა კარიდან ვიპარებით!“**

***– ოპოზიციაზე რას იტყვით?***

– რაც შეეხება ოპოზიციას, ოპოზიციაც ემზადება ამისთვის. თუ მიგვიღებენ, იტყვიან, ხელისუფლება ცუდად იქცევა, მაგრამ ჩვენ ვთხოვეთ ავანსად და მოგვცეს სტატუსიო, ხოლო თუ არ მოგვცეს, იტყვიან, რომ ამ ხელისუფლების გამო არ მოგვცეს. პროპაგანდისა და კონტრპროპაგანდის რეჟიმში მუშაობს ეს ყველაფერი, არა სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, არამედ პროპაგანდის რეჟიმში. ხელისუფლება კიდევ როგორ იქცევა?! არაფრის შეცვლა არ სურთ, უნდათ, რომ მუქთად მიიღონ ყველაფერი. დიდი ბოდიში და, შენ რომ ვიღაცას ეუბნები, შენს სახლში მინდა ცხოვრებაო და ის გეუბნება, ჩემთან თუ გინდა, ჩემთან სახლში არ ეწევიან, ქალები არ დაჰყავთ, ღრეობებს არ აწყობენ, მაგიდაზე არ ცეკვავენო! ამ დროს კი შენ ეუბნები, ჯერ მიმიღე და ამაზე მერე ვილაპარაკოთო. აი, ასე იქცევა საქართველოს ხელისუფლება დღეს.

***– და თან გამუდმებით ლანძღავს დასავლელ პარტნიორებს.***

– ეგ კიდევ ცალკე უბედურებაა. პირდაპირ გეტყვით, ჩვენ ობიექტურად კანდიდატის სტატუსს არ ვიმსახურებთ! ეს ხომ ცხადია! გასაგებია, რომ გვინდა, მაგრამ ევროკავშირს თავისი თანაცხოვრების წესები აქვს. შენ კი ეუბნები, მე ამ წესებს არ დავიცავ და ისე მიმიღეო.

***– ქართველი ხალხი არ იმსახურებს თუ ხელისუფლება?***

– ხელისუფლება არ იმსახურებს, რა თქმა უნდა.

***– და ხალხმა რა დააშავა, შეცვლის ხელისუფლებას და რატომ უნდა დარჩეს „ოცნების“ გამო ამ შესაძლებლობის გარეშე?***

– დიდი ბოდიში, მაგრამ მე ამ ლოგიკას არ მივყვები, მით უმეტეს, რომ კანდიდატის სტატუსი განა რას იძლევა ისეთს, ერთი ეგ მითხარით!

***– ევროკავშირის წევრობის მეტ შანსს.***

– ვახ, თურქეთი 1999 წლიდან არის კანდიდატი, დღემდე არ მიუღიათ ევროკავშირში. დღემდე არ იღებენ, იმიტომ, რომ პრობლემებია ურთიერთობაში. კანდიდატის სტატუსი თავისთავად არ ნიშნავს წევრობას. ეს არის მორიგი რაღაც ყალბი მოლოდინების შექმნა. თუ შენ რეფორმებს გაატარებ, შეესაბამები და აღიარებ იმ თამაშის წესებს, რომლებიც იქ არის, შეიძლება სტატუსიც მოგცენ და 2-3 წელიწადშიც მიგიღონ, ხოლო თუ ამას არ აღიარებ, შეიძლება კანდიდატი გახდე და 100 წელი არ მიგიღონ ევროკავშირში. თავისთავად კანდიდატის სტატუსი არ არის გამარჯვება. ეს არის შანსი იმისა, რომ შენ გაწევრიანდე. გაწევრიანდები იმ შემთხვევაში, თუ იმას გააკეთებ, რის გაკეთებაც ხელისუფლებას არ უნდა. ჩვენი საზოგადოება დღეს კანდიდატობას კი არა, რეფორმებს უნდა ითხოვდეს! ცოტა თავი ხომ უნდა მოვიწესრიგოთ!

***– როგორ ფიქრობთ, მივიღებთ სტატუსს?***

– მე არანაირი იმედი არა მაქვს. ახლა რომ ჩვეულებრივი სიტუაცია იყოს, დანამდვილებით გეტყოდით, რომ ამ სტატუსს არ მოგვცემენ. განაცხადის შეტანასაც არ აპირებდნენ 2024 წლამდე. უბრალოდ, გეოპოლიტიკურად არაორდინარული ვითარება შეიქმნა და გაიხსნა სარკმელი, რომ ეს პროცესი დაჩქარდეს. პირდაპირ ვთქვათ, უკრაინის ხარჯზე უკანა კარიდან ვიპარებით! აი, ეს არის რეალობა, სიმართლე თუ გინდათ! უკანა კარიდან შეპარვა გვინდა, დამსახურებულად კი არა, მუქთად გვინდა ყველაფრის მიღება. ასე ცხოვრობს ამ ქვეყნის პოლიტიკური ელიტა. ყველაფერი მუქთად უნდათ! არაფერი არ გააკეთონ და ყველაფერი მიიღონ. რადგან შანსი გაჩნდა, კი ბატონო, უნდა გამოვიყენოთ ეს შანსი, მიუხედავად იმისა, რომ არ ვიმსახურებთ.

***– ოპონენტი გეტყოდათ, ბატონო გია, რატომ არ ვიმსახურებთო? ჩვენმა ქვეყანამ ხომ უკვე გაიარა ის, რასაც ახლა უკრაინა გადის?***

– რა გაიარა. მე აქ ომს კი არ ვგულისხმობ. მე ვგულისხმობ რეფორმებს. ევროკავშირში შესვლა საჩუქარი კი არ არის! ევროკავშირში შესვლა არის თანაცხოვრების გარკვეული ფუნდამენტური წესები. რადგან ჩვენი ტერიტორიები ოკუპირებულია, ამიტომ დავიმსახურეთ?! ასე არ არის. ეს სამყაროს მცდარი გაგებაა! ეს საჩუქარი კი არ არის, ვალდებულებებია ამასთან ერთად. ევროკავშირში მიღებასა და წარსულში რაღაც ტრაგედიას შორის რა კავშირია? არანაირი კავშირი არ არის. დღეს ეს შესაძლებლობა გაიხსნა იმიტომ, რომ არაორდინარული გეოპოლიტიკური ვითარება შეიქმნა. ევროპა დაინტერესებულია თავისი მოკავშირეების დაახლოებით. აი, ამან გახსნა ეს ფანჯარა! სხვის ხარჯზე გაიხსნა. კი, აფხაზეთიც იყო და ბევრი სხვა რამ! უდიდესი ტრაგედია აქვთ ქართველებს გადატანილი, მაგრამ დღევანდელ კონტექსტთან ამას კავშირი არა აქვს. ხელისუფლებას არაფრის გაკეთება არ უნდა! აი, ახლაც, ამ ერთ თვეშიც შეუძლიათ რაღაცების გაკეთება, მაგრამ აკეთებენ რამეს?! არაფერს არ აკეთებენ! ცუღლუტი ბავშვებივით იქცევიან, მე არაფერს არ გავაკეთებ და შენ მომეცი უფრო მეტი და მეტიო.

***– გადასული არიან დასავლელი პარტნიორების ლანძღვაზე. ეს რამე ახალია?***

– დიახ, ლანძღავენ და აგინებენ და საერთოდ რაზე ვლაპარაკობთ?! თუ მიგვიღებენ, კარგია. მე ამას მივესალმები, მაგრამ ეს იქნება განა იმიტომ, რომ ვიმსახურებთ. ამით იქნება ავანსი გაცემული, მათივე ინტერესებიდან გამომდინარე, პარტნიორები არ დააფრთხონ და რუსეთისაკენ არ უბიძგონ. სამწუხაროდ, საქართველოსთან დაკავშირებით ასეთი მოლოდინები არის, რომ შეიძლება იქით გადავიხაროთ. აი, ამის ეშინია დასავლეთს და, თუ მიგვიღებენ, იმის გამო, რომ რუსეთში არ გაიქცნენ ჩვენი ბიჭები, რომლებსაც არანაირი გრძელვადიანი ფასეულობითი სისტემა არა აქვთ. სულ ერთია კობახიძისთვის, რუსეთთან იქნება თუ ევროპასთან, ოღონდ თვითონ იყოს ხელისუფლებაში! რა ფასეულობათა სისტემა აქვს, ოდესმე უომია რამისთვის, უბრძოლია თუ რა?! ბუჩქებიდან გამოძვრა, ბიძინამ მოჰკიდა ხელი, მართალია, თმა ვერ დავარცხნა, მაგრამ ხელისუფლებაში დასვა.

# პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ესტონეთის პრეზიდენტ ალარ კარისს შეხვდა




საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია და ორ ქვეყანას შორის არსებული განსაკუთრებული მეგობრული და პარტნიორული ურთიერთობები იყო საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილისა და ესტონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ ალარ კარისის შეხვედრის მთავარი განსახილველი საკითხები.

შეხვედრაზე, რომელიც დავოსში პრემიერ-მინისტრის ვიზიტის ფარგლებში გაიმართა, აღინიშნა ორ ქვეყანას შორის არსებული მჭიდრო პარტნიორობა და ქართული ინსტიტუციების ევროპულ სტანდარტებთან დაახლოების მიმართულებით ესტონეთის მიერ გაწეული მნიშვნელოვანი მხარდაჭერა.

ირაკლი ღარიბაშვილმა ალარ კარისს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, სუვერენიტეტისა და ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის ურყევი მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა. თავის მხრივ, ალარ კარისმა საქართველოს მთავრობის მეთაურს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისადმი ესტონეთის მტკიცე მხარდაჭერა კიდევ ერთხელ დაუდასტურა.

ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე საქართველოს მიერ მიღწეულ პროგრესზე საუბრისას ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ ევროკომისიის თვითშეფასების კითხვარი საქართველომ ვადაზე ადრე შეავსო და ახლა ევროკომისიის შესაბამისი გადაწყვეტილების მოლოდინშია, ევროინტეგრაციის გზაზე კი საქართველოს ესტონეთის მტკიცე მხარდაჭერის იმედი აქვს. საუბარი შეეხო საქართველოს ნატოში ინტეგრაციის პროცესის მნიშვნელობას.

შეხვედრაზე აღინიშნა ორ ქვეყანას შორის არსებული წარმატებული პარტნიორობა ინოვაციების, ციფრული ტექნოლოგიებისა და განათლების სფეროში, ასევე თავდაცვის მიმართულებით. ხაზი გაესვა ეკონომიკური თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავების მნიშვნელობას და ამ კუთხით არსებული პოტენციალის სრულად ათვისების აუცილებლობას.

საუბარი ასევე შეეხო უკრაინაში მიმდინარე საომარ მოქმედებებს. ირაკლი ღარიბაშვილმა უკრაინელი ხალხის მიმართ საქართველოს სოლიდარობა კიდევ ერთხელ დააფიქსირა.

# გია ვოლსკი: „შანტაჟი ნაცმოძრაობამ განახორციელა“



შანტაჟი სწორედაც რომ ნაცმოძრაობამ განახორციელა, დაბრალება დაიწყო, რომ აშშ ჩარეულია სასამართლო სისტემაში და განსაზღვრავს, ვინ სწორი გადაწყვეტილება მიიღო, ვინ – ცუდი, ვინ უნდა დაისაჯოს, ვინ წაიყვანონ და ვინ არ წაიყვანონ ამის გამო სემინარზე.

ამის შესახებ პარლამენტის პირველმა ვიცესპიკერმა გია ვოლსკიმ ჟურნალისტებთან განაცხადა, რითაც გამოეხმაურა ოპოზიციის განცხადებებს, რომ ნიკა გვარამიას საქმის განმხილველ მოსამართლესთან დაკავშირებით ირაკლი კობახიძის განცხადება აშშ-ის ელჩისა და საელჩოს შანტაჟია.

მისი თქმით, ძალიან უნდა მოინდომო, რომ კობახიძის ნათქვამის ინტერპრეტირება მოახდინო.

– მოსამართლეები და სასამართლო სისტემა არა მარტო ირაკლი კობახიძემ და ნებისმიერ ჩვენგანმა, არამედ ნებისმიერ ქვეყანაში უნდა დაიცვას ხელისუფლებამ, საზოგადოებამ და იცოდეს, რომ სასამართლო ხელისუფლების ქვეყნის სამსახურში მყარად დგომა ნიშნავს, რომ ქვეყანას აქვს მომავალი.

რაც შეეხება შანტაჟის თემას, შანტაჟი სწორედაც რომ განახორციელა ნაცმოძრაობამ თავისი მედიასაშუალებებით, აშშ-ზე დაბრალება დაიწყო, რომ ის ჩარეულია სასამართლო სისტემაში და განსაზღვრავს, ვინ სწორი გადაწყვეტილება მიიღო, ვინ – ცუდი, ვინ უნდა დაისაჯოს, ვინ წაიყვანონ და ვინ არ წაიყვანონ ამის გამო სემინარზე.

ამაზე ისაუბრა კობახიძემ და ოპონენტები ყოველთვის შეეცდებიან, შეატრიალონ. ძალიან უნდა ეცადო, რომ ინტერპრეტაცია გააკეთო, თუმცა გამოცდილი საზოგადოება, რომელსაც მედია შეარქვეს, ახერხებს და ხალხს აწვდის ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა გამოიყენა იმ თვალსაზრისით, რომ ვიღაცას შანტაჟს უწევს და განსაკუთრებით ჩვენი მეგობარი ქვეყნის საელჩოს. ვფიქრობ, ამ მონდომებას წარმატება არ ექნება, – განაცხადა ვოლსკიმ.

ცნობისათვის, კობახიძის განცხადებით, მოსამართლის კონკრეტული გადაწყვეტილების გამო სემინარზე არდაშვება სისხლის სამართლის დანაშაულია.

– დავანებოთ თავი საელჩოს და წარმოიდგინეთ, პარლამენტი აწყობს სემინარს, არ მოეწონა მოსამართლის გადაწყვეტილება, იბარებს მოსამართლეს და ეუბნება, რომ ამ გადაწყვეტილების გამო შენ სემინარზე აღარ დაიშვები. ეს არის სისხლის სამართლის დანაშაული, რომლის მიზანიც არის ზემოქმედება კონკრეტულ მოსამართლეზე და ზემოქმედება მეორე და მესამე ინსტანციის მოსამართლეებზე, – განაცხადა კობახიძემ.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ქართულმა ოცნებამ“ შესანიშნავი ოპოზიცია შეიქმნა“

## დავით ჭიჭინაძე: „ამ ქვეყანაში რეალური ცვლილებები პარლამენტში შესვლით რომ არ მოვა, ამას ყველა ხვდება“



ნათია ხურცილავა

**პარტია „ტრიბუნას“ თავმჯდომარე, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი დავით ჭიჭინაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***— ბატონო დავით, როგორია თქვენი მოლოდინი ევროკავშირის წევრი ქვეყნის სტატუსის მონიჭებასთან დაკავშირებით? ოპოზიციის ბევრ ლიდერს მიაჩნია, რომ თუ ხელისუფლება ამ შანსს ხელიდან გაუშვებს, მაშინ „გავრილოვის ღამე ორი“ გარდაუვალია.***

— რაც შეეხება ჩემს მოლოდინებს, მგონია, რომ ამ განაცხადს ევროკავშირი არ დაგვიკმაყოფილებს. უკრაინის გამო გაიხსნა ეს ფანჯარა.

რაც შეეხება იმას, რომ ამ უარს დიდი ვნებათაღელვა მოჰყვება ქვეყანაში, ხალხი ქუჩებში გამოვა და ახალ გავრილოვის ღამეს მოაწყობს, არც ამის მჯერა, სიმართლე გითხრათ. ადამიანებს იმდენი პრობლემა დაუგროვდათ, იმდენი საზრუნავი აქვთ, რომ არ მგონია, ამ იმედგაცრუებას დიდი ვნებათაღელვა მოჰყვეს.

***— თუმცა მაშინ მოჰყვა.***

— მაშინ მოჰყვა იმიტომ, რომ იმ პრეზიდენტის სავარძელში, რომელმაც ქვეყნის დამოუკიდებლობა გამოაცხადა, ვგულისხმობ ზვიად გამსახურდიას, ჩააბრძანეს დამპყრობელი, ოკუპანტი. ეს, რა თქმა უნდა, ვერ აიტანა ხალხმა და ამიტომ მოჰყვა ასეთი სტიქიური გამოსვლა. ახლა სხვა მოცემულობაა, რეალობაც სხვაა. ამიტომ, ნურავინ იფიქრებს, რომ ხალხი, რომელსაც შია და თავისი პრობლემებით არის დახუნძლული, ამ იმედგაცრუებას ასე გააპროტესტებს, თან, ყველა კარგად ხვდება, რომ ევროკავშირში გაწევრიანება, სტატუსის მიღება არ არის მარტივი ამბავი. ეს არ ხდება ერთი თუ ორი მეგობარი ქვეყნის ან მისი წარმომადგენლის სურვილით. საფრანგეთის პრეზიდენტ მაკრონის სკეპტიკური დამოკიდებულებაც ამ კონკრეტული საკითხისადმი ჩვენი საზოგადოებისთვის ცნობილია.

„ქართული ოცნებაც“ ალბათ კარგად ხვდება, რომ ევროკავშირიდანაც არ მოდის დადებითი სიგნალები და, სამწუხაროდ, გვაქვს ეს რეალობა.

***— როგორ ფიქრობთ, რა არის დაბრკოლება ამ გზაზე, ხელისუფლება თუ კიდევ სხვა რამე?***

— ასეთ მნიშვნელოვან და გადამწყვეტ მომენტში ყოველთვის დაბრკოლება იყო ხელისუფლება. ხალხი ყოველთვის წინ იყო, ხალხი ყოველთვის მოწოდების სიმაღლეზე იდგა, მაგრამ მიზეზი ყოველთვის იყო ხელისუფლება. ევროკავშირი გვიყენებს გარკვეულ პირობებს, რომ მათი ნაწილი გავხდეთ, ჩვენ ამ პირობებს ვერ ვაკმაყოფილებთ. ეს არის პრობლემა. არ გვაქვს სასამართლო რეფორმირებული, კითხვები და გაურკვევლობაა ქვეყნის საგარეო ორიენტირებთან დაკავშირებით. ბევრი პრობლემაა. იგივე პრობლემებია ნატოში ინტეგრაციის მიმართულებით. თუმცა აქ კიდევ უფრო რთულად დგას საკითხი, რადგან, როგორც ხედავთ, შვედეთსა და ფინეთსაც კი შეხვდათ პრობლემა.

***— ერდოღანი ეწინააღმდეგება ამ პროცესს.***

— არა მხოლოდ ერდოღანი. ხორვატიამაც გამოთქვა პრეტენზიები. ერთი სიტყვით, ზედმეტი ტვირთი არავის უნდა.

***— სასამართლო რეფორმა ახსენეთ. რას იტყვით ირაკლი კობახიძის განცხადებაზე, რომ ხელისუფლება ყველა მოსამართლეს დაიცავს? ამ საკითხზე ამერიკის საელჩომაც გააკეთა განცხადება.***

— კობახიძის პოზიცია გასაგებია, თავს ხომ არ დაუხრიდა. ის აცხადებს, რომ სასამართლო რეფორმა განხორციელებულია და, შესაბამისად, რეფორმირებულ მოსამართლეებს იცავს. ამ შემთხვევაში კობახიძე იცავს ხელისუფლების პოზიციას. ამდენად, კობახიძის პასუხი სრულიად ლეგიტიმურია. მისთვის არავის არ ჩამოურთმევია თავდაცვის უფლება, რადგან ცნობილია, რომ ის არის სასამართლო რეფორმის შემოქმედი.

***— ოპოზიციურ ფლანგზე რა ხდება? როგორ ფიქრობთ, რატომ ვერ ახერხებს ოპოზიცია ხალხის პრობლემების იდენტიფიცირებას, ხალხთან უფრო ახლოს ყოფნას?***

— იმიტომ, რომ ცდილობს, უფრო ახლოს „ქართულ ოცნებასთან“ იყოს და არა ხალხთან. პარლამენტში შესვლაც ამის გამოვლინებაა. გარიგებით, მორიგებით პარლამენტში შევიდნენ და ახლა ბევრად უფრო კომფორტულად არიან.

2024 წელს, არჩევნების წინ, კიდევ შეეცდებიან, მოსინჯონ ხალხთან ახლოს ყოფნა, მაგრამ ხალხს უკვე ამ ოპოზიციის აღარ სჯერა. როდესაც ქვეყანაში მთავარი ოპოზიციური ძალა იქნება ის, რომელსაც თავის დროზე არ ესმოდა ხალხის, ახლა ძნელია დააჯერო მოსახლეობა, რომ ხსნა ისევ მათშია. ამის აღარავის აღარ სჯერა.

***— დანარჩენები?***

— დანარჩენებიც ნაციონალური მოძრაობის ანასხლეტები არიან. „ქართულმა ოცნებამ“ შესანიშნავი ოპოზიცია შეიქმნა. ორივეს ერთმანეთი აწყობს და ასე იხანგრძლივებენ პოლიტიკურ ცხოვრებას. ამას ხალხი ძალიან ნათლად ხედავს. ამ ოპოზიციამ თავისი თავი ამოწურა, როდესაც პარლამენტში შესვლის გადაწყვეტილება მიიღო. ეს ოპოზიცია ხალხის ნდობას ვეღარასოდეს ვერ მოიპოვებს. ამ ქვეყანაში რეალური ცვლილებები პარლამენტში შესვლით რომ არ მოვა, ამას ყველა ხვდება.

# „კობახიძემ რომ გააკეთა, ასეთი განცხადებები კეთდება ვენესუელასა და სირიაში“

## პაატა მანჯგალაძის განცხადება

კობახიძემ რომ გააკეთა, ასეთი განცხადებები კეთდება ვენესუელაში და სირიაში, სხვა ასეთი ღიად ანტიამერიკული განცხადებები რუსეთს თუ არ ჩავთვლით, სხვაგან არ მომისმენია — „ქართულ ოცნებას“ სურს, საქართველო იყოს ივანიშვილის უკანა ეზო, ბოსტანი.

ამის შესახებ ჟურნალისტებთან „სტრატეგია აღმაშენებლის“ დეპუტატმა პაატა მანჯგალაძემ განაცხადა, რითაც გამოეხმაურა ოპოზიციის განცხადებებს, რომ ნიკა გვარამიას საქმის განმხილველ მოსამართლესთან დაკავშირებით ირაკლი კობახიძის განცხადება აშშ-ის ელჩისა და საელჩოს შანტაჟია.

მისი თქმით, ის განცხადებები, რომლებიც დასავლელი პარტნიორების მისამართით გაჟღერდა „ქართული ოცნებისგან“, საგანგაშოა.

— ამის გამოვლინება იყო აშშ-ის საელჩოსთან დაკავშირებული კობახიძის განცხადება, როცა საბოტაჟისკენ მოუწოდა მოსამართლეებს. ასეთი განცხადებები კეთდება ვენესუელასა და




სირიაში. სხვა ასეთი ღიად ანტიამერიკული განცხადებები, რუსეთს თუ არ ჩავთვლით, სხვაგან არ მომისმენია.

„ქართული ოცნება“ ცდილობს აშშ-ისგან, დასავლეთისგან დისტანცირებას, რადგან აშშ და ევროკავშირი ნიშნავს უფრო მეტ დემოკრატიას, მიუკერძოებელ სასამართლოს, დაცულ სიტყვის თავისუფლებას, ადამიანის უფლებებსა და ანგარიშვალდებულებას ხალხის წინაშე, არც ერთი ეს „ქართულ ოცნებას“ არ სჭირდება, მას სურს საქართველო იყოს ივანიშვილის უკანა ეზო, ბოსტანი, სადაც გადაწყვეტილებებს იღებს არა ხალხი, არამედ ივანიშვილთან დაკავშირებული „კლანი“, — განაცხადა მანჯგალაძემ.

# „გამოდით პარლამენტიდან“

## შალვა ნათელაშვილი ოპოზიციას



შალვა ნათელაშვილი ოპოზიციას პარლამენტის დატოვებისკენ მოუწოდებს — „ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერი ამბობს, რომ საპარლამენტო ოპოზიციას „ოცნების“ მაშველი რგოლის ფუნქცია აქვს.

შალვა ნათელაშვილმა საგანგებო ბრიფინგზე ევროინტეგრაციის საკითხზეც ისაუბრა.

— როგორც შევიტყვე, ოპოზიცია ემზადება ბრიუსელში „ქართულ ოცნებასთან“ ერთად ვიზიტისთვის, რათა დაარწმუნონ ევროპა, მიგვიღოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატად მაშინ, როცა იციან, ამის შანსიც არ გაგვაჩნია.

პარლამენტში მჯდომი მეგობრები, აბსოლუტური უმრავლესობა მათი, ყველა არა, ასრულებს მაშველი რგოლის ფუნქციას რეჟიმის მეთაურ დიქტატორ ივანიშვილის გადასარჩენად.

მეგობრებო, ნუ მიჰყვებით ოლიგარქს პოლიტიკურ საფლავში! გამოდით პარლამენტიდან! — განაცხადა ბრიფინგზე შალვა ნათელაშვილმა.



# ალუდა ღუდუშაური: „გუშინ პოლონეთი იყო, გუშინწინ — კანარის კუნძულები“

— დღეს გერმანია, გუშინ პოლონეთი იყო, გუშინწინ კანარის კუნძულები და ა.შ. როგორც ჩანს, მათი გემოვნება იცვლება სეზონიდან გამომდინარე — ზაფხულში ალბათ, გერმანიაში იგრძნობს თავს კომფორტულად სააკაშვილი, ზამთრის სეზონზე — დუბაიში ან სხვაგან.

ასე ეხმიანება საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ალუდა ღუდუშაური ჟურნალისტებთან მიხეილ სააკაშვილის გერმანიაში გადაყვანის მოთხოვნას.

ღუდუშაურის თქმით, ყველა უნდა დაემორჩილოს კანონსა და ექიმების რჩევას.

— ახლა ზაფხული მოდის და ალბათ გერმანიაში უფრო კომფორტულად იგრძნობს თავს მსჯავრდებული სააკაშვილი მათი განცხადებით, ზამთრის სეზონზე ალბათ — დუბაიში ან სხვაგან.

ეს წარმოუდგენელია. საქართველოს აქვს კონსტიტუცია, კანონმდებლობა და ყველანი ვალდებულნი ვართ, დავემორჩილოთ ამ კანონებს. შესაბამისად, ყოველგვარი სპეკულაცია არის გამორიცხული. ამ თემაზე, მე ვფიქრობ, არის წერტილი და ამ წერტილის იქით სხვა გზა არ რჩება, გარდა იმისა, რომ დაემორჩილო კანონსა და ექიმების რჩევას, — განაცხადა ღუდუშაურმა.

# პრემიერ-მინისტრმა დავოსის ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში მონაწილეობა მიიღო პანელში — „სამეზობლოსთან ევროკავშირის პარტნიორობის ხელახალი გააზრება“

საქართველოს მოსახლეობის 80%-ზე მეტი მხარს უჭერს იდეას, რომ საქართველო უნდა გახდეს ევროპული ოჯახის წევრი და ეს არ არის მხოლოდ მთავრობის არჩევანი; ეს ქართველი ხალხის მიერ გაკეთებული ცივილიზაციური არჩევანია.

ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა დავოსის ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში გამართულ პანელზე — „სამეზობლოსთან ევროკავშირის პარტნიორობის ხელახალი გააზრება“ — განაცხადა.

მთავრობის მეთაურის თქმით, ყველაფერი გაკეთდება, რათა საქართველო ევროკავშირს დაუახლოვდეს და ახლოს აღმოჩნდეს საბოლოო მიზანთან, რაც ევროკავშირის სრულფასოვან წევრობას გულისხმობს.

— დიდი მადლობა მოწვევისთვის. შესანიშნავი შესაძლებლობა მოგვეცა საქართველოს მისწრაფებებზე, ევროკავშირში გაწევრიანებაზე სასაუბროდ. ეს არის ბრწყინვალე საშუალება, რადგან კოვიდის გამო პირადად შეხვედრა ვერ შევძელით. ამიტომ კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას ამ შესაძლებლობისთვის.

საქართველო ძალიან სანდო და ერთგული პარტნიორია ევროკავშირისთვის. ეს არის ჩვენი ერის არჩევანი და მხოლოდ მთავრობას არ ეკუთვნის. ვიტყოდი, რომ ეს ქართველი ხალხის მიერ გაკეთებული ცივილიზაციური არჩევანია. ძალიან ერთგული პარტნიორობა ვაჩვენეთ ევროკავშირს, რადგან საერთო ფასეულობები და პრინციპები გვაერთიანებს.

მოგეხსენებათ, რომ 2014 წელს ხელი მოვაწერეთ ასოცირების შეთანხმებას. ეს მთავარი დოკუმენტი და გზამკვლევია სრულფასოვანი გაწევრიანებისთვის. მას შემდეგ თავისუფალი სავაჭრო შეთანხმება გავაფორმეთ და ხელშესახებ შედეგებსაც მივაღწიეთ უვიზო მიმოსვლის რეჟიმის სახით, რაც ასევე მნიშვნელოვანია საქართველოს მოსახლეობისთვის.

სულ ახლახან ევროკავშირში გაწევრიანების განაცხადი




ოფიციალურად წარვადგინეთ. თქვენს კითხვაზე პასუხად მოგახსენებთ, რომ რაც უფრო ახლოს მიგვიყვანს ევროკავშირთან და მასში გაწევრიანებასთან, რა თქმა უნდა, მისაღები იქნება ჩვენთვის, იმიტომ, რომ სხვა ალტერნატივა არ გაგვაჩნია. როგორც უკვე ვახსენე, ეს არის ქართველი ხალხის არჩევანი და ყველაფერს გავაკეთებთ, მაქსიმუმს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ევროკავშირს დავუახლოვდეთ და ჩვენს საბოლოო მიზანთან ახლოს აღმოვჩნდეთ, რაც ევროკავშირის სრულფასოვან წევრობას გულისხმობს, — აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მთავრობის მეთაურის თქმით, საქართველოს მოსახლეობის 80%-ზე მეტი მხარს უჭერს იდეას, რომ საქართველო უნდა გახდეს ევროპული ოჯახის წევრი და ეს არ არის მხოლოდ მთავრობის არჩევანი.

— ჩვენ უკვე განვახორციელეთ ასოცირების ხელშეკრულების 45%-ზე მეტი. 2014 წლიდან ჩვენ ვატარებთ ძალიან ამბიციური რეფორმების დღის წესრიგს და უზრუნველვყოფთ გაუმჯობესებას ყველა მიმართულებით, იქნება ეს კანონის უზენაესობა, მართლმსაჯულების რეფორმა, ღია მმართველობა. ჩვენ გვაქვს საგრძნობი პროგრესი ყველა მიმართულებით და ხალხი ამას ხედავს.

ჩვენ საუკუნეების განმავლობაში ვცდილობთ ევროპასთან დაახლოებას. ეს გზა არ დაგვიწყია 2014 წელს, როცა ხელი მოვაწერეთ ასოცირების ხელშეკრულებას. უკვე საუკუნეებია ვცდილობთ, ვიყოთ ცივილიზებული სამყაროს, ცივილიზებული ევროპის ნაწილი. ახლა ჩვენ უნდა ვმართოთ ჩვენი ხალხის მოლოდინები, რადგან ჩვენი გადმოსახედიდან ამ პროცესთან დაკავშირებით ერთგულნი ვართ ევროპული ღირებულებებისა და პრინციპების მიმართ, ჩვენ ვახორციელებთ დემოკრატიულ რეფორმებს, ვაკეთებთ ყველაფერს, რაც მოცემულია ასოცირების ხელშეკრულებაში. ჩვენ უკვე განვახორციელეთ ასოცირების ხელშეკრულების 45%-ზე მეტი, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მთავრობის მეთაურმა პანელურ დისკუსიაზე გამოსვლა მიხეილ მუსხელიშვილის სიტყვებით დაასრულა.

— ნება მომეცით, წარმოვთქვა ცნობილი ქართველი მეცნიერის, ევროპის კონსტიტუციის თანაავტორის, ბატონი მიხეილ მუსხელიშვილის (მიშელ მუსხელი) ციტატა: „საქართველომ იცის, რომ მისი ადგილი ევროპაშია. ახლა კი ევროპამ უნდა გააკეთოს დასკვნები“. ეს არის ჩემი დასკვნითი კომენტარი, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრთან ერთად პანელში მონაწილეობდნენ მოლდოვის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ნატალია გავრილიცა, ესტონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ალარ კარისი და ავსტრიის რესპუბლიკის ევროპული და საერთაშორისო საქმეთა ფედერალური მინისტრი ალექსანდრ შალენბერგი.

# ევროკავშირში შესვლა მოლდოვის მოსახლეობის ნახევარს უნდა

## უკრაინისათვის ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მინიჭება ნიდერლანდის საგარეო მინისტრსაც აეჭვებს

მარიამ მჭედლიშვილი

საქართველოს საზოგადოება მოუთმენლად ელის პასუხს კითხვაზე, ხდება თუ არა საქართველო ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყანა. ვინაიდან ამ პროცესში საქართველო უკრაინასთან და მოლდოვასთან ერთად მონაწილეობს, საყურადღებოა ინფორმაციები უკრაინისა და მოლდოვის თემებზე. ბევრს იმედი აქვს, რომ საქართველოს საკითხი ამ ქვეყნებისგან დამოუკიდებლად და დადებითად გადაწყდება, ვინაიდან საქართველო ევროინტეგრაციაში ლიდერობდა და სხვებს გაასწრო.

უკრაინაში ომის, დასავლეთის რუსეთთან დაპირისპირების პირობებში ჩნდება მოლოდინი, რომ ამ სამი ქვეყნის სვლა ევროკავშირისკენ უნდა დაჩქარდეს. რუსეთისთვის ევროკავშირში ინტეგრაცია უკვე არც ისეთი უწყინარი პროცესია, როგორიც მანამდე ჩანდა. მოსკოვმა გამოაცხადა, რომ ევროკავშირი გადაიქცა ნატოს დანამატად. ამან, წესით, ხელი არ უნდა შეუშალოს ქვეყნების ევროინტეგრაციას. თუმცა ჩნდება დაბრკოლებები კანდიდატის მიღების სტატუსზეც კი. ევროსკეპტიკოსები მარტო საფრანგეთში არ არიან. ევროპელები უმთავრესად საუბრობენ უკრაინაზე.

### ნიდერლანდის საგარეო მინისტრი: „ერთ-ერთი ვარიანტით, უკრაინა მიიღებს პოტენციური კანდიდატის სტატუსს“

ნიდერლანდის საგარეო საქმეთა მინისტრი მარკ რიუტე ამბობს, რომ ალბათობა იმისა, რომ უკრაინა უახლოეს ხანში გახდება ევროკავშირის წევრობის კანდიდატი, დაბალია.



**მარკ რიუტე:**

– საკმაოდ ბევრ ქვეყანას ეს იდეა არ მოსწონს. ეს იქნებოდა უსამართლო დასავლეთ ბალკანეთის სახელმწიფოების მიმართ, რომლებიც გაცილებით ადრე ელოდნენ კანდიდატის სტატუსს. ერთ-ერთი ვარიანტი მდგომარეობს იმაში, რომ უკრაინა ხდება პოტენციური კანდიდატი ორგანიზაციაში შესასვლელად. მას აცნობებენ, რამდენი ნაბიჯი უნდა გადადგას სრულფასოვანი სტატუსის მისაღებად. ასე იყო ბოსნიის შემთხვევაში. ეს იმის გარანტიაც იქნება, რომ უკრაინის მთავრობა არ იქნება დემოტივირებული.

ცოტა ხნის წინ ევროკავშირის მთავარმა დიპლომატმა ჟოზეპ ბორელმა მოუწოდა ევროკავშირს, უახლოეს ხანში დაიწყოს მოლაპარაკებები ევროპულ თანამეგობრობაში ალბანეთისა და ჩრდილოეთ მაკედონიის გასაწევრიანებლად. მისი აზრით, „უარი ამ გადაწყვეტილებაზე იქნება საჩუქარი რუსეთისთვის, გაამყარებს მოსკოვის პოზიციებს და დააზიანებს ევროკავშირს“.

ბორელის განცხადებით, დაუშვებელია, ვაცდევინოთ ქვეყნებს, რომლებმაც შეასრულებს პირობები ევროკავშირში შესასვლელად. მისი თქმით, ალბანეთისა და ჩრდილოეთ მაკედონიის წელიწადნახევრიანი შეყოვნება არ მოახდენს გავლენას უკრაინისათვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიცემაზე. ეს სრულიად სხვადასხვა პროცესებია.

### რა პოზიცია აქვს მოლდოვის მოსახლეობას

ბოლო გამოკითხვის თანახმად, ევროკავშირში შესვლა უნდა მოლდოვის მოსახლეობის ნახევარს. საქართველოში ეს ციფრი ბევრად მაღალია. კიშინიოვისთვის უკანასკნელ ხანს უფრო აქტუალური (დოდონის დაკავების გარდა) უსაფრთხოების თემებია. საგარეო საქმეთა სამინისტროს მოუხდა განმარტებების გაკეთება ქვეყნისათვის იარაღის მოწოდების გეგმებზე. ბრიტანეთის საგარეო მინისტრმა ლიზ ტრასმა განაცხადა, რომ ნატოს ქვეყნების მხრიდან აუცილებელია შეიარაღების მოწოდება მოლდოვისათვის პუტინის შეჭრის შესაკავებლად. კიშინიოვმა განაცხადა, რომ ქვეყნის ნეიტრალური სტატუსი არ იცვლება, კიშინიოვი ნატოს ქვეყნებთან ამ სტატუსის შესაბამისად ურთიერთობს. მოლდოვა ნატოსთან თანამშრომლობს „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამის ფარგლებში.

ომის გამო შეიცვალა უკრაინის ნატოში შესვლის პერსპექტივები. ამასთან, უკრაინის მოსახლეობის ნაწილი იმედს ისევ ნატოზე ამყარებს.

მაისში უკრაინაში ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, ნატოს სანაცვლოდ უსაფრთხოების გარანტიების მიღებას მხარს უჭერს გამოკითხულთა 42%. ამასთან, უკრაინელების აზრით, ქვეყანას უსაფრთხოების გარანტიები უნდა მისცენ აშშ-მ, დიდმა ბრიტანეთმა, გერმანიამ და საფრანგეთმა. გამოკითხულთა 39% დარწმუნებულია, რომ უკრაინის უსაფრთხოების უზრუნველყოფა მხოლოდ ნატოს შეუძლია. 19% ჩამოუყალიბებია ან კითხვების ფორმას არ ეთანხმება.

# „ხელისუფლებამ სააკაშვილის ხერხებს არ უნდა მიმართოს“

## პეტრე მამრაძე: „მთავრობამ მეტი უნდა იზრუნოს იმაზე, რომ დასავლეთში პარტნიორები ჰყავდეს“



**„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის ყოფილი დეპუტატი პეტრე მამრაძე პასუხობს.**

გულიკო ბალაძე

***– ბატონო პეტრე, ისტორიის ძალიან რთულ ეტაპზე საქართველოს გაუჩნდა შანსი, ევროკავშირის წევრობის კანდიდატი გახდეს. თუმცა ჩვენი ოპოზიციის გარკვეული ნაწილი ევროპაში პოლიტიკოსებს არწმუნებს, რომ საქართველო ევროკავშირის წევრობისთვის მზად არ არის. რატომ კეთდება ასეთი განცხადებები?***

– ეს ადამიანები ნამდვილად არ იმსახურებენ იმას, რომ ოპოზიცია ვუწოდოთ. ოპოზიცია არის პოლიტიკური ჯგუფი, რომელიც ეროვნული და სახელმწიფო ინტერესების ერთგულია. ეს ოპოზიცია კი ეროვნულ ინტერესებსა და ქართველ ერს ებრძვის. მათი ლოზუნგია: რაც უარესი, მით უკეთესი. რაც საქართველოსთვის, ხალხისა და სახელმწიფოსთვის უარესია, მათთვის უკეთესია, რომ შემდეგ ყველაფერი დააბრალონ ხელისუფლებას და ძალაუფლება ხელში ჩაიგდონ.

***– როგორი ცუდი ხელისუფლებაც უნდა ჰყავდეს ქვეყანას, თუკი საქართველოსთვის ასეთი პერსპექტივა არსებობს, რატომ უნდა აკეთებდნენ ოპოზიციის წარმომადგენლები ამას?***

– სწორედ ამაზე გიპასუხეთ, რაც უარესი, მით უკეთესი. ისინი ვერ პოულობენ საქმეს საქართველოს შიგნით, ხალხში, წლიდან წლამდე ცდილობენ არეულობის მოწყობასა და დესტაბილიზაციას, ხალხის ქუჩაში მასობრივად გამოყვანას, არჩევნებში რაღაც გზებით მეტი ხმების მოგროვებას. ვერაფერს ახერხებენ. ამიტომ ყოველთვის ცდილობენ, დასავლეთში თავიანთი ლობისტების გამოყენებით როგორმე შეაჩერონ ურთიერთობების განვითარება, შემდეგ ეს ხელისუფლებას დააბრალონ, თითქოს დასავლეთს ხელისუფლებასთან ურთიერთობა არ სურს.

***– ოპოზიციის დელეგაციები ევროპაში თავიანთ ლობისტებს აჯერებენ იმაში, რომ საქართველო ევროკავშირის წევრობის კანდიდატობისთვის მზად არ არის. ამ ხალხს ოპოზიციის ნიშა აქვს დაკავებული. როგორ შეიძლება, ქვეყანამ ასეთი პოლიტიკური სპექტრი თავიდან აიცილოს?***

– აუცილებელია ხელისუფლების კარგი მუშაობა და ამ მუშაობის წარმოჩენაც. მეორე და ძალიან არსებითი – ხელისუფლებამ მეტი უნდა იზრუნოს იმაზე, რომ დასავლეთში პარტნიორები და მეგობრები ჰყავდეს. ცხადია, ხელისუფლებამ მაინცდამაინც სააკაშვილის ხერხებს არ უნდა მიმართოს.

***– კერძოდ?***

– ანუ არ უნდა გააკეთოს ის, რასაც სააკაშვილი აკეთებდა. ეს არის მოსყიდვა, უმაღლესი ჯილდოების დარიგება, საუკეთესო სასტუმროებში განთავსება უფასოდ. ბოლოს და ბოლოს, სააკაშვილმა ამით რას მიაღწია? 700-კაციან ევროპარლამენტში მხოლოდ 17-მა მოაწერა ხელი (12 წლის შემდეგ), სააკაშვილს ხელი არ ახლოთო.

***– 17 ბევრია.***

– არა, 700 ევროპარლამენტარიდან 17 ძალიან ცოტაა. ვიოლა ფონ კრამონი რაღაცას რომ იტყვის, მარტო კობახიძე კი არ უნდა პასუხობდეს, არამედ ჩვენი მეგობარი 10-15 ევროპარლამენტარი უნდა გამოვიდეს და თქვას, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებას პატივი უნდა სცენ.

***– ამის ვიდეოებიც არსებობს. თუ ასეა, რატომ არ უგზავნიან?***

– ეს არის ჩემი კითხვა. ამის ახსნა მიწევდა უცხოელებისთვის, როდესაც ჩამოდიოდნენ. ერთხელ მკითხეს, სამი პიჯაკის გულისთვის პრეზიდენტი როგორ დააპატიმრეთო. მე ვეუბნები, პიჯაკები კი არა, 8 მილიონია გაფლანგული პირად საქმეებზე (ჩამოვუთვლიდი ხოლმე), ყველაფერი დოკუმენტურად დადასტურებულია-მეთქი. უცხოელები გაკვირვებული მეუბნებოდნენ, კი მაგრამ, ჩვენ ეს რატომ არ ვიცოდითო.

***– ვიდეოც არსებობს, სადაც ამერიკელი სენატორი ამაზე საუბრობს. მიუხედავად იმისა, ვინ როგორ მუშაობს ლობისტებთან უცხოეთში, დღეს საქართველო ევროკავშირის წევრობას იმსახურებს თუ არა, რის პერსპექტივაც ჩნდება?***

– ვითარება ასეთია: ერთი მხრივ, საქართველოს მრავალი პარამეტრი უკეთესი აქვს, ვიდრე ევროგაერთიანების ზოგიერთ ქვეყანას...

***– რა პარამეტრებია?***

– მაგალითად, უნგრეთისა და ჩეხეთის შესახებ (თავის დროზე პოლონეთი და სხვა ქვეყნები) საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშები მინახავს, სადაც პირდაპირ ეწერა (მთელი ნუსხა იყო), რომ კანონის უზენაესობით, სასამართლოების თავისუფლების, არჩევნების თავისუფლებისა და სამართლიანობის ხარისხით, პრესის თავისუფლებითა და სხვადასხვა პარამეტრით საქართველო უკეთეს ადგილას იყო, ვიდრე სხვა ქვეყნები.

მეორე მხრივ (რაც ივანიშვილმა თქვა), ეკონომიკა და ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი ევროკავშირის სტანდარტზე ბევრად ნაკლებია. აქ არის ჩვენი მთავარი პრობლემა. როდესაც ქვეყანა ამდენად ღატაკია (ერთ სულ მოსახლეზე ვამბობ და არა ჩვენს ბობოლებზე, ოლიგარქებზე), დემოკრატია ვერ ხარობს, ერთ-ორ წელიწადში ისევ დიქტატურა ბრუნდება ხოლმე, როგორც ეს იყო სააკაშვილის დროს.

***– ეკონომიკის გაძლიერება როგორ წარმოგიდგენიათ? ზოგი ფიქრობს, რომ თუ გავწევრიანდებით, ევროკავშირი დაგვეხმარება და ეკონომიკურად წამოვიწევით. ამის მექანიზმი არსებობს? ეს პროცესი როგორ შეიძლება წარიმართოს?***

– ძალიან რთულია. როდესაც საქართველომ ასოცირების ხელშეკრულებასა და ყოვლისმომცველ ვაჭრობაზე ხელი მოაწერა, გახსოვთ, როგორი ზეიმი იყო? გახსოვთ, როგორი განცხადებები იყო, ეს შეუქცევადი პროცესი და უდიდესი გამარჯვებააო?

***– ასე არ იყო?***

– გარკვეულწილად, ასე იყო, მაგრამ იმ დღეს გამოვიდა მაშინდელი ევროკავშირის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ევროკომისარი იანოშ ჰერმანი და თქვა: ღმერთმა ნუ ქნას, რომ ხვალ-ზეგ ევროკავშირში გაწევრიანდეთ. ეს რომ მოხდეს, თქვენი ეკონომიკის, ეკონომიკური განვითარების ის მცირე ჩანასახები, რომლებიც ახლა სახეზეა, ისიც კი გაქრება და მიწასთან გასწორდებაო.

***– რატომ?***

– ვინაიდან არ პასუხობს ევროკავშირის სტანდარტებს, საერთოდ გასაჩერებელი იქნება, რაც კეთდება და ეს ძალიან ძვირად დაგიჯდებათო, ანუ ევროკავშირის წევრობა მომგებიანია მაშინ, როდესაც ქვეყანა გარკვეულ დონეს უკვე აღწევს იმავე ევროკავშირის დახმარებით. ეკონომიკის დონე უნდა გაიზარდოს. გავიდა რამდენიმე თვე და საქართველომ რამდენიმე მილიონი დაკარგა იმის გამო, რომ ევროკავშირის მხარე საბაჟო გადასახადისაგან გათავისუფლდა. ქართულიც ასეა, მაგრამ იქიდან გაცილებით მეტი საქონელი შემოდის, ვიდრე აქედან გადის.

მათი წინადადება იყო, სასწრაფოდ სთხოვოს საქართველოს პარლამენტმა, დროებით მაინც შეაჩერონ ამ ხელშეკრულების გარკვეული მუხლებიო. ისრაელელი კოლეგები მეუბნებოდნენ, ეს რა კარგი რაღაც გააკეთეთ, ჩვენც გვაქვს იგივე ხელშეკრულება რა ხანია და, სულ ცოტა, 15 მილიარდი დოლარი გვაქვს წელიწადში მოგება ამ ხელშეკრულებიდანო.

***– ალბათ მათ პროდუქცია ევროპაში გააქვთ.***

– დიახ. ისრაელი სოფლის მეურნეობის გიგანტია.

***– ანუ ჩვენც უნდა ავამუშაოთ სოფლის მეურნეობა და გავიტანოთ ჩვენი პროდუქცია ევროპაში. მაშინ იქნება ევროკავშირი ჩვენთვის მომგებიანი.***

– არა მარტო სოფლის მეურნეობის, სხვა დარგების აღორძინება არ შეგვიძლია? საქართველოში თავის დროზე ბევრი რამ კეთდებოდა. ნახევარგამტარები შეგვიძლია გავიტანოთ, იზოტოპების ინსტიტუტი გვაქვს. საქართველოში შეიძლება იყოს გადამამუშავებელი მრეწველობა, მსუბუქი მრეწველობა, ტექნოლოგიები. ვინ აგვიკრძალა. წლიდან წლამდე მესმის, რომ საქართველოში ფარმაცევტული კომპანიებისთვის სამოთხე იქნებოდა, იმდენად კარგი პოტენციალია. არ კეთდება, ასევეა ჰესები, არ კეთდება.

არავინ ფიქრობს, რომ საქართველო მალე გაწევრიანდება. ამაზე კარგად ილაპარაკა გერმანიის ელჩმა. ამ ეტაპზე ერთადერთი, რაც შეიძლება გაკეთდეს, ისაა, რომ ევროპის საბჭომ თქვას, დიახ, ჩვენ ვიღებთ გადაწყვეტილებას, გასავლელია დიდი გზა და გვინდა, ეს გზა ერთად გავიაროთო.



# შსს დამოუკიდებლობის დღეს, 26 მაისს, მცხეთაში აღნიშნავს

საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიება მცხეთის ცენტრალურ მოედანზე ხვალ, 11:00 საათზე დაიწყება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის მიერ წარმოდგენილი იქნება საინფორმაციო და საგამოფენო სტენდები, ასევე, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის, სასაზღვრო პოლიციისა და განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის სპეცტექნიკა, აღჭურვილობა და სასაზღვრო პოლიციის ვერტმფრენი.

მოქალაქეებს საშუალება ექნებათ, შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაყოფების მიერ წარმოდგენილ სხვადასხვა საინფორმაციო ზონაში გაეცნონ უწყების მიერ ევროინტეგრაციის მიმართულებით, ევროპული სტანდარტების შესაბამისად გადადგმულ ნაბიჯებს და წარმატებულ რეფორმებს.

სტუმრებს საგამოფენო სივრცის მთავარ შესასვლელთან დახვდებათ საპატრულო პოლიციის სასაზღვრო-საიმიგრაციო კონტროლის იმიტირებული პუნქტი, სადაც ისინი გაივლიან „სასაზღვრო კონტროლს“, მიიღებენ საინფორმაციო რუკას, თუ რომელ ზონებს უნდა ეწვიონ.

ქალაქ მცხეთაში, ღონისძიებაზე მისულ მოქალაქეებს საშუალება ექნებათ, „სიცოცხლის ზარის“ სტენდთან, შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ში შემოსულ რეალურ ზარებს მოუსმინონ. ასევე, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით დანერგილ „112“-ის სერვისებს გაეცნონ.

ცენტრალურ საგამოფენო სივრცეში სტუმრები დაათვალიერებენ სტენდებს, სადაც განთავსებული იქნება ქართულ-ევროპული ურთიერთობებისა და დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიის ამსახველი მასალები.

ბავშვებისთვის არაერთი თემატური საინფორმაციო-შემეცნებითი აქტივობაა დაგეგმილი, ასევე მოწყობილი იქნება გასართობი სივრცეები:

მომსახურების სააგენტო პატარა დამთვალიერებლებს იმიტირებულ ქალაქში უმასპინძლებს და ველოსიპედის მართვის მოწმობის ასაღებად სახალისო გამოცდის ჩაბარებას შესთავაზებს;

საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის მიერ მოწყობილი იქნება იმიტირებული შემთხვევის ადგილი, ასევე, ბავშვები შეძლებენ დეტალურად გაეცნონ, თუ როგორ ხდება თითის ანაბეჭდების აღება;

სასაზღვრო პოლიციის მიერ წარმოდგენილი იქნება სანაპირო დაცვის მცურავი საშუალების – გემის მაკეტი;

დაცვის პოლიცია პატარა სტუმრებისთვის მოაწყობს იმიტირებულ დაცულ სახლს და მათ სხვადასხვა სახალისო შემეცნებით აქტივობას შესთავაზებს;

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური წარმოადგენს საინფორმაციო-შემეცნებით შოუს მეხანძრე-მაშველების მონაწილეობით;

საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“ მოზარდებს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით სპეციალურად მათთვის შექმნილ კომპიუტერულ თამაშებში მონაწილეობას სთავაზობს, საიდანაც შეიტყობენ, თუ როგორ უნდა მოიქცნენ გადაუდებელ შემთხვევებში. გამარჯვებულ ბავშვებს სპეციალური პრიზები გადაეცემათ.

ღონისძიება საღამოს კონცერტით დასრულდება.

# „ტაშს ვუკრავ აშშ-ის საელჩოს ასეთი ქმედებისთვის“

## კელი მოსამართლე ჩხიკვაძის პროგრამიდან მოხსნაზე



აშშ-ის ყოფილი ელჩი საქართველოში, იან კელი, ამბობს, რომ დროა აშშ-მ საქართველოს მთავრობას მკაფიო გზავნილი გაუგზავნოს, რომ ის არასწორი მიმართულებით მიდის.

ამის შესახებ კელიმ „მთავარი არხის“ გადაცემა „დღის სტუმარში“ ისაუბრა.

კელიმ გადაცემაში საქართველოში არსებულ პოლიტიკურ ვითარებასთან დაკავშირებით მისი და დევიდ კრამერის საერთო სტატია განიხილა. მისი განცხადებით, სტატიაში ჩამოთვლილი იყო ის არგუმენტები, რომლებიც „აჩვენებს, რომ მთავრობას არასწორი კურსი აქვს არჩეული“, მათ შორის საუბარია ძალაუფლების სრულად ხელში ჩაგდებაზე, ასევე ოპონენტების მარგინალიზაციასა და დაკავებაზე.

იან კელიმ ასევე ისაუბრა უკრაინისა და მოლდოვის შემთხვევაზე და თქვა, რომ ოლიგარქებს, რომლებიც იმ ქვეყნებში ძირს უთხრიდნენ დემოკრატიას, გარკვეული სახის სანქციები დაუწესდათ. კელის თქმით, დროა, სანქციები დაუწესდეს საქართველოშიც ძალას, რომელიც კულუარულად მოქმედებს.

– მიგვაჩნია, რომ დადგა დრო შეერთებული შტატებისთვის, მსგავსი სანქციები დაუწესდეს იმ ძალას, რომელიც არ არის ანგარიშვალდებული, რომელსაც ვხედავთ საქართველოში. ამერიკამ დააწესა შეზღუდვა მოგზაურობის თვალსაზრისით კოლომოისკიზეც უკრაინაში, მოლდოვის ოლიგარქზეც და, სამწუხაროდ, საქართველო იმავე გზით მიდის, სადაც არსებობს ძალა, რომელიც არ არის ანგარიშვალდებული, მოქმედებს კულუარებში.

ჩემთვის არ არის ამის თქმა სასიამოვნო, მაგრამ აშშ-მ უნდა გააგზავნოს ძალიან მკაფიო გზავნილი, აჩვენოს, რომ ჩვენ მიგვაჩნია, საქართველომ არასწორი გზა აირჩია და არასწორი გზით მიდის, – თქვა კელიმ.

გადაცემაში დიპლომატი ასევე გამოეხმაურა ნიკა გვარამიას საქმის მოსამართლის მიმართ, სავარაუდოდ, აშშ-ის საელჩოს გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც, ლაშა ჩხიკვაძე პროგრამიდან მოიხსნა და შტატებში ველარ მიემგზავრება.

კელი ამ გადაწყვეტილებას მიესალმება და სამართლიანად მიიჩნევს, აშშ-მ გარკვეული შეზღუდვები დაუწესოს პირებს, რომლებიც მათ ინტერესებს ეწინააღმდეგება.

– აშშ და საქართველო – ორივე სუვერენული ქვეყანაა და ჩვენ გაგვაჩნია უფლება, უარი ვუთხრათ შესვლაზე ნებისმიერ პირს, რომელიც მიგვაჩნია, რომ მოქმედებს ჩვენი ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ და, თუკი სახელმწიფო დეპარტამენტმა გადაწყვიტა, რომ ჩართული ყოფილიყო პროგრამაში, რომელიც ფინანსდება აშშ-ის მიერ და რომელიც მიმართულია სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის გასაზრდელად, უფლებამოსილი იყო ეს უარი.

ეს ფინანსდება გადამხდელისგან და გადასახადის გადამხდელს ალბათ არ ესიამოვნება ისეთი ადამიანის დაფინანსება, რომელიც არის მოსამართლე, მაგრამ რეაგირებს აღმასრულებელი ხელისუფლების სურვილებზე და მათ ასრულებს. ეს აბსოლუტურად მიუღებელია. მე ტაშს ვუკრავ საელჩოს ასეთი ქმედებისთვის, – თქვა კელიმ „მთავარი არხის“ ეთერში, გადაცემა „დღის სტუმარში“

# ნელი დოროყაშვილს სხეულზე დაზიანება ნებისმიერი ფორმით შეეძლო მიეღო



ნიკოლოზ ბასილაშვილის ადვოკატ თეონა გვაზავას ინფორმაციით, შესაძლებელია, ბასილაშვილის ყოფილ მეუღლეს ნელი დოროყაშვილს სხეულზე არსებული დაზიანება ნებისმიერი ფორმით მიეღო, მათ შორის, წნევის აპარატის მეშვეობით, საკუთარი ხელით ან ბავშვის ფეხის შეხებით.

როგორც გვაზავამ ჟურნალისტებთან საუბრისას განმარტა, 24 მაისის პროცესზე დაკითხულმა ექიმმა დაადასტურა, რომ ნელი დოროყაშვილი არ განიცდიდა ტკივილს და საერთოდ არ იცოდა მის სხეულზე არსებული დაზიანების შესახებ.

– სასწრაფოს ექიმმა დააფიქსირა მთავარი ექიმისაგან და სამედიცინო ექსპერტიზისაგან განსხვავებული ინფორმაცია. მთავარმა ექიმმა დაადასტურა, რომ დოროყაშვილს აღენიშნებოდა მხოლოდ ექსკორიაცია, მაგრამ არა სისხლის ჩაქცევა. სასწრაფოს ბარათში არ არის დაფიქსირებული სისხლჩაქცევა ან სიწითლე, მხოლოდ მითითებულია ექსკორიაციაზე, რაც დადასტურებული აქვს სასწრაფოს ორ ექიმს ხელმოწერით.

მოწმემ განმარტა, რომ მას უშუალოდ არ დაუთვალიერებია სხეული, შესაბამისად, სხეულზე დაზიანებების შეფასებისას მნიშვნელოვანი იყო მთავარი ექიმის პოზიცია, რომელიც კატეგორიულად გამორიცხავს ექსკორიაციის გარდა სხვა დაზიანების არსებობას.

ექსპერტიზის დასკვნაზე ნათქვამია, რომ შემოწმების მომენტში, ფაქტიდან 24 საათის შემდგომ დოროყაშვილს აღენიშნებოდა მკლავის შიდა ზედაპირზე დაზიანება, თუმცა ვერ მიგვითითებენ ხანდაზმულობას, როდის არის დაზიანება მიღებული.

როგორც სასწრაფოს ორივე ექიმი, ასევე ექსპერტიც ცალსახად განმარტავენ, რომ დაზიანება შესაძლოა მიყენებული იყოს ნებისმიერი ფორმით, მათ შორის წნევის გაზომვის დროს წნევის აპარატის მეშვეობით, საკუთარი ხელით ან ბავშვის ფეხის შეხებით, ვინაიდან კადრებში ვხედავთ, რომ მას ბავშვი ხელში ჰყავდა აყვანილი.

პროცესზე დაკითხულმა ექიმმა დაადასტურა, რომ ნელი დოროყაშვილი არ განიცდიდა ტკივილს და საერთოდ არ იცოდა მის სხეულზე არსებული დაზიანების შესახებ. როდესაც დაუსვეს კითხვა, ვერ მიუთითა, როდის მიიღო ეს დაზიანება, თუმცა განმარტა, რომ შესაძლოა მეუღლემ შეაჯანჯღარა. მუხლის შედგენისათვის აუცილებელია, რომ დაზიანება იწვევდეს ტკივილს. თუ ტკივილს არ იწვევს, ამ შემთხვევაში სისხლის სამართლის დანაშაულთან არ გვაქვს კავშირი, – აღნიშნა თეონა გვაზავამ.

ცნობისთვის, საქართველოს პროკურატურამ ყოფილი მეუღლის მიმართ განხორციელებული ფიზიკური ძალადობის ფაქტზე ნიკოლოზ ბასილაშვილს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარუდგინა, რაც გულისხმობს ოჯახში ძალადობას არასრულწლოვნის თანდასწრებით. მოგვიანებით პროკურატურამ ბასილაშვილს ბრალდება დაუზუსტა და მას ძალადობის რამდენიმე ეპიზოდთან ერთად, ფსიქოლოგიურ და ეკონომიკურ ძალადობასაც ედავებიან.

პროკურატურის ინფორმაციით, გამოძიებით დადგინდა, რომ 2020 წლის 21 მაისს, თბილისში, ავჭალის დასახლებაში, ნიკოლოზ ბასილაშვილმა ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ყოფილი მეუღლის ნელი დოროყაშვილის მიმართ ფიზიკური ძალადობა განახორციელა. სამართალდამცველებმა ნიკოლოზ ბასილაშვილი 2020 წლის 22 მაისს დააკავეს. სასამართლომ ბასილაშვილს აღკვეთის ღონისძიების სახით 100.000-ლარიანი გირაო შეუფარდა.

# ადვოკატი სააკაშვილთან ექსპერტთა ჯგუფის დაშვებაზე შუამდგომლობას სასამართლოზე კიდევ ერთხელ დააყენებს



თბილისის საქალაქო სასამართლოში დიდი ოდენობით საბიუჯეტო თანხების ჯგუფურად გაფლანგვაში ბრალდებულების, ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ყოფილი უფროსის, თეიმურაზ ჯანაშიას სასამართლო პროცესი გაიმართა.

პროცესს მიხეილ სააკაშვილი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ დაესწრო.

პროცესის პარალელურად ორგანიზაცია ,,მიშას სექტორის“ მიერ საქალაქო სასამართლოს ეზოში საპროტესტო აქცია გაიმართა. როგორც სხდომის დაწყებამდე მიხეილ სააკაშვილის ადვოკატმა შოთა თუთბერიძემ აღნიშნა, მთავარ საკითხად რჩება იმ შუამდგომლობის დაყენება, რომელიც მიხეილ სააკაშვილთან სამედიცინო ექსპერტების ჯგუფის შეშვებას ითვალისწინებს.

– პროცესზე მთავარ საკითხად რჩება იმ შუამდგომლობის გადაწყვეტა, რომელიც წინა პროცესზე დავაყენეთ. ეს გახლავთ შუამდგომლობა ექსპერტთა ჯგუფის დაშვებაზე და დავალება პენიტენციარული სამსახურისთვის, რომ შეწყდეს კანონის მუდმივი დარღვევა. იმედი მაქვს, რომ მოვისმენთ პასუხს ამ შუამდგომლობაზე და იქნება დაკმაყოფილებული, ვინაიდან არანაირი საფუძველი არ არსებობს იმაზე უარის სათქმელად, თუ რატომ არ უშვებენ კანონით დადგენილი ექსპერტიზის შემსრულებლებს მიხეილ სააკაშვილთან, – აღნიშნა შოთა თუთბერიძემ.

ცნობისთვის, დიდი ოდენობით საბიუჯეტო თანხების ჯგუფურად გაფლანგვის საქმეზე, მიხეილ სააკაშვილთან ერთად ბრალდებულია სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ყოფილი უფროსი თეიმურაზ ჯანაშიაც.

პროკურატურა ბრალდებულებს საბიუჯეტო თანხის დიდი ოდენობით – 9 მილიონი ლარის ჯგუფურად გაფლანგვას ედავება.

# თბილისში, შანიძის ქუჩაზე, მამაკაცი დაჭრეს

თბილისში, შანიძის ქუჩაზე, სროლა იყო. არსებული ინფორმაციით, ცეცხლსასროლი იარაღიდან ტყვიის გასროლის ხმა მიყოლებით რამდენიმეჯერ გაისმა.

ცნობილია, რომ დაჭრილია ერთი ადამიანი, რომელიც სასწრაფო დახმარებამ ხეჩინაშვილის კლინიკაში გადაიყვანა.

ხეჩინაშვილის კლინიკაში, სადაც დაჭრილს ოპერაცია ჩაუტარდა, აცხადებენ, რომ პაციენტს ერთი ტყვია აქვს მოხვედრილი.

– ზურგის არეში გამჭოლი ჭრილობა, ოღონდ გამოსავლის გარეშე. სავარაუდოდ, არის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობა.

პაციენტი შემოყვანილია სასწრაფოს მიერ ცეცხლსასროლი ჭრილობით. დათვალიერებით, საოპერაციოში გამოკვლევით დადგინდა, რომ ეს არის კანქვეშ შემავალი ჭრილობა, რომელმაც არ შეაღწია გულ-მკერდის ღრუში, არც მუცლის ღრუში. მდგომარეობა მაინც მძიმედ რჩება, თუმცა სტაბილურია. მოხვედრილია ერთი ტყვია. ახლა რეანიმაციაშია, პოსტოპერაციულ მდგომარეობაშია, – განაცხადა კლინიკის ქირურგმა კობა თაბაგირმა.

თავდამსხმელის ვინაობა ჯერჯერობით დადგენილი არ არის. რაც შეეხება დაშავებულს, ის 33 წლის ბექა მახარაძეა.

მომხდართან დაკავშირებით გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შენახვა-ტარებისა და ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების მუხლებით მიმდინარეობს.

# ყოფილი მეუღლის განზრახ მკვლელობის მცდელობაში ბრალდებული დუმილის უფლებას იყენებს

ყოფილი მეუღლის განზრახ მკვლელობის მცდელობაში ბრალდებული ლევან ასლანიშვილი დუმილის უფლებას იყენებს. აღნიშნულის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ასლანიშვილის ადვოკატმა ანა შიშნიაშვილმა განუცხადა.

როგორც შიშნიაშვილი აღნიშნავს, საქმის დეტალებსა და გარემოებებზე ვერ საუბრობს, რადგან მისი დაცვის ქვეშ მყოფი დუმილის უფლებით სარგებლობს.

ლევან ასლანიშვილს ბრალდება ოფიციალურად 24 მაისს წაუყენეს.

ცნობისთვის, 23 მაისს ლევან ასლანიშვილმა გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით, განსაკუთრებული სისასტიკით, არასრულწლოვანი შვილის თანდასწრებით ყოფილ მეუღლეს დანით მრავლობითი დაზიანებები მიაყენა.

ასლანიშვილს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა 19-109-ე მუხლის მე-2 ნაწილის ,,დ პრიმა“, ,,ვ“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით (განზრახ მკვლელობის მცდელობა, ჩადენილი გენდერის ნიშნით, ოჯახის წევრის მიმართ განსაკუთრებული სისასტიკით) და 11 პრიმა 381 პრიმა მუხლის 1-ლი ნაწილით (შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობა) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 16-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

# პროკურატურაში დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ვირტუალური აქტივების ამოღების სახელმძღვანელოს პრეზენტაცია გაიმართა

საქართველოს გენერალურ პროკურატურაში დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ვირტუალური აქტივების (ე.წ. კრიპტოვალუტა) ამოღების სახელმძღვანელოს პრეზენტაცია გაიმართა.

გენერალური პროკურატურის ინფორმაციით, სახელმძღვანელო საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა აშშ-ის საელჩოს მხარდაჭერითა და დახმარებით შეიმუშავა.

ღონისძიება საქართველოს გენერალური პროკურორის პირველმა მოადგილემ ბაკურ აბულაძემ გახსნა. მან მადლობა გადაუხადა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს დახმარებისთვის და აღნიშნა, რომ სახელმძღვანელოს შექმნის მიზანია სამართალდამცავი უწყებების წარმომადგენლებს, გამომძიებლებს, ჰქონდეთ შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება ვირტუალურ აქტივებთან დაკავშირებით და საჭიროების შემთხვევაში მისი ამოღება წარმატებით მოახდინონ.

პრეზენტაციას ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის სახელმწიფო დეპარტამენტის რეზიდენტი მრჩეველი სამართლებრივ საკითხებში ლენა ოუენსი, აშშ-ის მართლმსაჯულების დეპარტამენტისა და გამოძიების ფედერალური ბიუროს კიბერდანაშაულის გამოძიების სფეროში ექსპერტები, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს და საქართველოს პროკურატურის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

„ვირტუალური აქტივების სახელმძღვანელოში განხილულია ის საუკეთესო პრაქტიკები, რომელიც დაეხმარება პროკურორებს და გამომძიებლებს სათანადო პროცედურების დაცვით, ეფექტიანად ამოიღონ მესამე პირების მფლობელობაში არსებული დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ვირტუალური აქტივები.

სახელმძღვანელოს შექმნის სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელის ალექსანდრე მუყასაშვილის განცხადებით, ბოლო წლების განმავლობაში, ვირტუალური აქტივების პოპულარიზაციასთან ერთად გაიზარდა მისი გამოყენების არეალი დანაშაულებრივ საქმიანობაში, რის გამოც დღის წესრიგში დადგა საგამოძიებო ორგანოების მიერ დროული და ეფექტიანი რეაგირების აუცილებლობა ვირტუალური აქტივების მოძიებისა და ამოღების მიმართულებით.

სახელმძღვანელო განკუთვნილია საგამოძიებო ორგანოების თანამშრომლებისთვის, რომლებსაც შეხება აქვთ დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ვირტუალური აქტივების ამოღებასთან“, – ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

# შიდა ქართლის პოლიციამ განზრახ მკვლელობის ბრალდებით ერთი პირი დააკავა



შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1988 წელს დაბადებული გ.ბ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

უწყების ცნობით, დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 21 მაისს, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა 1965 წელს დაბადებულ ჯ.პ.-ს, რომელიც, მიყენებული ჭრილობის შედეგად, ადგილზე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული სამძებრო ღონისძიებების შედეგად, ბრალდებული გ.ბ. მომხდარიდან 2 დღეში დააკავეს.

პოლიციამ, ბრალდებულის პირადი და საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო ვაზნები ნივთმტკიცებად ამოიღო.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს“, – აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.

# ლაგოდეხში ადამიანი ცოცხლად დაიწვა



კახეთში ხანძრის შედეგად ერთი ადამიანი გარდაიცვალა. შემთხვევა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ცოდნისკარში მოხდა.

წინასწარი ინფორმაციით, აალების მიზეზი საცხოვრებელ სახლში დამონტაჟებული ბუნებრივი აირის გამაცხელებელი გახდა, რომელიც აფეთქდა. აფეთქება იმდენად ძლიერი იყო, რომ ხანძრის დროს 70 წლამდე ქალი სასწრაფო დახმარების ბრიგადის მისვლამდე გარდაიცვალა.

შემთხვევის ადგილზე მუშაობდნენ ექსპერტ-კრიმინალისტები. სახანძრო-სამაშველო ჯგუფებმა ხანძრის ლიკვიდაცია დროულად შეძლეს.

# მოლდოვის ყოფილი პრორუსი პრეზიდენტი დოდონი დააკავეს




მოლდოვის ყოფილი პრორუსი პრეზიდენტი და ამჟამად პროკრემლისტური ოპოზიციური პარტიის ლიდერი იგორ დოდონი კორუფციის ბრალდებით დააკავეს. ინფორმაციას დასავლური მედია აქვეყნებს.

როგორც მედია წერს, აღნიშნული, სავარაუდოდ, ოფიციალური მოსკოვის აღშფოთებას გამოიწვევს.

დოდონი თავს უდანაშაულოდ მიიჩნევს და მოლდოვის პროდასავლელ პრეზიდენტ მაია სანდუს ქვეყანაში არსებული ეკონომიკური პრობლემებიდან ყურადღების გადატანის მცდელობაში ადანაშაულებს.

„ეს პოლიტიკურად მოტივირებული საქმე შეთითხნილია“, – დაწერა დოდონმა სოციალურ ქსელში.

მედიის ცნობით, მოლდოველმა სამართალდამცველებმა დოდონის სახლში ჩხრეკა, სხვა ბრალდებებთან ერთად, კორუფციასა და ღალატთან დაკავშირებული გამოძიების ფარგლებში ჩაატარეს.

# დონეცკის ოლქის ქალაქ კრამატორსკზე სარაკეტო თავდასხმა განხორციელდა

კრამატორსკის მერ ალექსანდრე გონჩარენკოს ინფორმაციით, რუსულმა შეიარაღებულმა ძალებმა დონეცკის ოლქის ქალაქ კრამატორსკის საცხოვრებელ უბნებსა და კერძო შენობებზე სარაკეტო თავდასხმა განახორციელეს.

ამის შესახებ ინფორმაციას უკრაინული მედია ავრცელებს.

„შემაშფოთებელი ღამე კრამატორსკში, საჰაერო თავდასხმა საცხოვრებელ უბნებსა და კერძო სახლებზე. მსხვერპლი არ არის“, – წერს გონჩარენკო.

გონჩარენკომ მცხოვრებლებს მოუწოდა, რომლებმაც ქალაქი დატოვეს და უსაფრთხო ადგილას იმყოფებიან, ახლა კრამატორსკში არ დაბრუნდნენ.

გავრცელებული ინფორმაციით, რუსული ქვედანაყოფები ამჟამად სლოვიანსკის მიმართულებით შეტევის განახლებისთვის ემზადებიან. მედიის ინფორმაციით, კრამატორსკი სლოვიანსკიდან 18 კილომეტრის მოშორებით მდებარეობს და საფრთხის ქვეშ არის.

# მარიუპოლი მოჩვენებების ქალაქად იქცა



მარიუპოლის მერის მრჩეველი პეტრო ანდრიუშჩენკო აცხადებს, რომ ომის დაწყების დღიდან ქალაქში მინიმუმ 22.000 ადამიანი დაიღუპა.

– რეალური მაჩვენებელი შესაძლოა ბევრად უფრო მაღალი იყოს. მარიუპოლი მოჩვენებების ქალაქად იქცა. ქალაქი აბსოლუტურად ჩაბნელებულია, ყველგან სიკვდილისა და ცეცხლის სუნია, – აღნიშნა პეტრო ანდრიუშჩენკომ სიენენთან საუბარში.

მისი თქმით, მოსახლეობას არ შეუძლია თავისუფლად გადაადგილება, რადგან ქალაქში ნებისმიერი გადაადგილებისთვის საჭიროა სპეციალური საშვი, ფილტრაციის სისტემა კი მოქალაქეებს ქალაქის ტერიტორიის დატოვების საშუალებას არ აძლევს.

შეგახსენებთ, რუსულმა ძალებმა მარიუპოლზე კონტროლი რამდენიმე დღის წინ მოიპოვეს, როდესაც „აზოვსტალის“ მებრძოლები რამდენიმეკვირიანი წინააღმდეგობისა და სასტიკი ბრძოლის შემდეგ ჩაბარდნენ.

# ჩრდილოეთ კორეამ ბალისტიკური რაკეტები გამოცადა

სამხრეთ კორეის გაერთიანებული შტაბის უფროსის განცხადებით, ჩრდილოეთ კორეამ სამი ბალისტიკური რაკეტა გაისროლა.

მისი ინფორმაციით, ჭურვები ფხენიანის სუნანის რაიონიდან გაისროლეს. იაპონიის სანაპირო დაცვამ ასევე განაცხადა, რომ, სულ მცირე, ორი ჭურვი, რომლებიც, სავარაუდოდ, ბალისტიკური რაკეტებია, ზღვაში ჩავარდა. იაპონიის თავდაცვის მინისტრ ნობუო კიშის ინფორმაციით, პირველმა რაკეტამ დაახლოებით – 300 კმ, მეორემ კი 750 კმ იფრინა.

თავდაცვის მინისტრმა რაკეტების გაშვებას „მიუღებელი“ უწოდა და დასძინა, რომ მსგავსი ქმედება „ემუქრება იაპონიისა და საერთაშორისო საზოგადოების მშვიდობას, სტაბილურობასა და უსაფრთხოებას“.

# ტეხასის სკოლაში დაღუპულთა რაოდენობა 21-მდე გაიზარდა



აშშ-ის ტეხასის შტატის დაწყებით სკოლაში მომხდარი სროლის შემდეგ დაღუპულთა რაოდენობა 21-მდე გაიზარდა.

ამის შესახებ საზოგადოებრივი უსაფრთხოების დეპარტამენტში განაცხადეს.

მათივე ინფორმაციით, გარდაცვლილია 19 ბავშვი და 2 ზრდასრული ადამიანი.

გავრცელებული ინფორმაციით, დაიღუპა თავდასხმაში ეჭვმიტანილი 18 წლის პირიც.

– ჩვენი ქვეყანა პარალიზებულია არა შიშით, არამედ იარაღის ლობითა და პოლიტიკური პარტიით, რომლებმაც არ გამოავლინეს მზადყოფნა, რაიმე გზით იმოქმედონ, რაც ხელს შეუწყობს ამ ტრაგედიების თავიდან აცილებას. ამის შესახებ აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი ბარაქ ობამა „ტვიტერზე“ წერს, რითაც ტეხასის დაწყებით სკოლაში მომხდარ სროლას ეხმაურება.

– მშობლები აწვენენ შვილებს საწოლებში, უკითხავენ ზღაპრებს, უმღერიან იავნანას და გონებაში წუხან იმაზე, თუ რა შეიძლება მოხდეს ხვალ მას შემდეგ, რაც ბავშვებს სკოლაში, სასურსათო მაღაზიასა თუ სხვა საჯარო სივრცეში წაიყვანენ.

სენდი ჰუკიდან თითქმის ათი წლის შემდეგ და ბუფალოდან ათი დღის შემდეგ ჩვენი ქვეყანა პარალიზებულია არა შიშით, არამედ იარაღის ლობითა და პოლიტიკური პარტიით, რომლებმაც არ გამოავლინეს მზადყოფნა, რაიმე გზით იმოქმედონ, რაც ხელს შეუწყობს ამ ტრაგედიების თავიდან აცილებას. უკვე დიდი ხანია, არის მოქმედების, ნებისმიერი სახის ქმედების დრო, – წერს ყოფილი პრეზიდენტი.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## სპორტი

# საქართველოს ნაკრებმა შეკრება დაიწყო, მაკედონიამ შემადგენლობა დაასახელა



საქართველოს ნაკრები საფეხბურთო კლუბ ზესტაფონის თბილისის ზღვის ბაზაზე შევიდა და შეკრება დაიწყო. ვილი სანიოლის გუნდი უეფას ერთა ლიგის 2022-23 წლის სეზონის გათამაშებისთვის ემზადება.

ერთა ლიგის ფარგლებში ივნისის თვე დატვირთულია. პირველი მატჩი 2 ივნისს გიბრალტარის წინააღმდეგ დინამო არენაზე ელის; 5 ივნისს, სტუმრად, ბულგარეთს ვარნაში ვეთამაშებით; 9 ივნისს სკოპიეში ჩრდილოეთ მაკედონიაში ვესტუმრებით; 12 ივნისს კი ისევ ბულგარეთს – ამჯერად თბილისში.

საწვრთნელი პროცესის დაწყების პირველ დღეს სანიოლის განკარგულებაში 11 ფეხბურთელი იყო: გიორგი ლორია, გურამ კაშია, ლუკა ლოჩოშვილი, ლაშა დვალი, საბა ლობჟანიძე, ოთარ კიტეიშვილი, ვაკო გვილია, გიორგი აბურჯანია, გიორგი წიტაიშვილი, ბუდუ ზივზივაძე, ბექა მიქელთაძე.

ნაკრებს სხვა ლეგიონერები სრული შემადგენლობით ნაკრებს უახლოეს დღეებში შეუერთდებიან, ეროვნულ ლიგაში მოასპარეზე ფეხბურთელები კი – საკლუბო მატჩების დასრულების შემდეგ.

როგორც იცით, საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა უეფას ერთა ლიგის მატჩებისთვის 29 ფეხბურთელი გამოიძახა.

კიდევ ერთხელ შეგახსენებთ საქართველოს ნაკრების შემადგენლობას.

**მეკარე:** გიორგი ლორია (ანორთოსისი, კვიპროსი), გიორგი მამარდაშვილი (ვალენსია, ესპანეთი), ლაზარე კუპატაძე (დინამო ბთ);

**დაცვა:** გურამ კაშია (სლოვანი, სლოვაკეთი), ოთარ კაკაბაძე (კრაკოვი, პოლონეთი), გურამ გიორბელიძე (დინამო, გერმანია), დავით ხოჭოლავა (კოპენჰაგენი, დანია), ლუკა ლოჩოშვილი (ვოლფსბერგერი, ავსტრია), ლაშა დვალი (ფერენცვაროში, უნგრეთი), გრიგოლ ჩაბრაძე, მამუკა კობახიძე, ირაკლი აზაროვი (ყველა დინამო ბთ), სოლომონ კვერკველია (გაგრა);

**ნახევარდაცვა:** საბა ლობჟანიძე (ჰატაისპორი, თურქეთი), ნიკა კვეკვესკირი (ლეხი, პოლონეთი), ოთარ კიტეიშვილი (შტურმი, ავსტრია), ხვიჩა კვარაცხელია, ზურიკო დავითაშვილი, ვლადიმერ მამუჩაშვილი (ყველა დინამო ბთ), ვაკო გვილია (ჩესტოხოვა, პოლონეთი), ანზორ მექვაბიშვილი (დინამო თბ), გიორგი ჩაკვეტაძე (ჰამბურგი, გერმანია), გიორგი აბურჯანია (ჟილ ვისენტე, პორტუგალია), გიორგი წიტაიშვილი (ვისლა, პოლონეთი), თორნიკე ოქრიაშვილი (აპოელი, კვიპროსი), ვაკო ყაზაიშვილი (ულსანი, ს.კორეა);

**თავდასხმა:** ბუდუ ზივზივაძე (უიპეშტი, უნგრეთი), გიორგი ქვილითაია (აპოელი, კვიპროსი), გიორგი მიქაუტაძე (სერენი, ბელგია).

ამასობაში შემადგენლობა ჩრდილოეთ მაკედონიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ბლაგოია მილევსკიმაც დაასახელა. მაკედონიელები 2-ჯერ გიბრალტართან ითამაშებენ, თითოჯერ – ბულგარეთთან და ჩვენთან.

**ბლაგოია მილევსკი:**

– ჩვენ ფეხბურთელთა ის ბირთვი გვყავს, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ითამაშა. ამის მიუხედავად, ეროვნულ გუნდში 3 ახალი ფეხბურთელი მოვიწვიეთ – დიმოვსკი, გროჟდანოვსკი და ფაზლაგიჩი. ეს იმიტომ, რომ ნაკრებს ყოველთვის სჭირდება ახალი „სისხლი“. შანსი ყველას ექნება. ჩვენი მდგომარეობა მარტივი არ არის, რადგან 4 მატჩის ჩატარება გვიწევს და თან იმ პირობებში, როცა ფეხბურთელებს ზურგს უკან აქვთ მომქანცველი სეზონი. ამის მიუხედავად, ბევრ პოზიტივს ველი ივნისში. რამდენიმე ფეხბურთელს ტრავმა აქვს და ვნახოთ, შეძლებენ თუ არა ისინი თამაშს.

**მილევსკის საივნისო კრებული ასეთია:**

**მეკარეები:** სტოლე დიმიტრევსკი (რაიო ვალეკანო, ესპანეთი), დამიან შიშკოვსკი (დოქსა, კვიპროსი), კრისტიან ნაუმოვსკი (შკუპი), დენი ილიევი (ტრენჩინი, სლოვაკეთი);

**მცველები:** სტეფან რისტოვსკი (დინამო, ხორვატია), დარკო ველკოვსკი (რიეკა, ხორვატია), ვისარ მუსლიუ (ინგოლშტადტი, გერმანია), კირე რისტევსკი (აელი, კვიპროსი), ეზგან ალიოსკი (ალ აჰლი, საუდის არაბეთი), ტოდორ ტოდოროვსკი (სერედი, სლოვაკეთი), სტეფან შკოვსკი (სეპსი, რუმინეთი), ნიკოლა სერაფიმოვი (ზალაეგერსეგი, უნგრეთი), გოკო ზაიკოვი (სლავია, ბულგარეთი), ბოიან დიმოვსკი (პანდევის აკადემია);

**ნახევარმცველები:** ელიფ ელმასი (ნაპოლი, იტალია), ენის ბარდი (ლევანტე, ესპანეთი), სტეფან სპიროვსკი (მტკ, უნგრეთი), ენის ფაზლაგიჩი (ვისლა, პოლონეთი), ტომჩე გროჟდანოვსკი (ზლატე მორავცე, სლოვაკეთი), ერდალ რაკიპი (მალმიო, შვედეთი), ბობან ნიკოლოვი (შერიფი, მოლდოვა), დავიდ ბაბუნსკი (დებრეცენი, უნგრეთი);

**თავდამსხმელები:** მილან რისტოვსკი (ტრნავა, სლოვაკეთი), ბოიან მიოვსკი (მტკ, უნგრეთი), დარკო ჩურლინოვი (შალკე, გერმანია), ალექსანდარ ტრაიკოვსკი (ალ ფეიჰა, საუდის არაბეთი), ვალონ ეტემი (ისტანბული, თურქეთი), დორიან ბაბუნსკი (დებრეცენი, უნგრეთი).

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## კალეიდოსკოპი



# ლუდის დასალევად წასულმა მეგობრებმა თავი იბიცაზე ამოყვეს

დიდი ბრიტანეთის ქალაქ აბერდერის მცხოვრებმა მეგობრებმა გადაწყვიტეს, ბარში ლუდის დასალევად წასულიყვნენ და შემთხვევით თავი მათი სახლიდან ათასი კილომეტრით დაშორებულ კუნძულ იბიცაზე ამოყვეს.

დენ ევანსი და ალექს სტაბსი ერთმანეთს შეხვდნენ და გადაწყვიტეს, თითო კათხა ლუდი დაელიათ. ბარში ყოფნის დროს მეგობრებმა მოულოდნელად გადაწყვიტეს, ტაქსიში ჩამსხდარიყვნენ, აეროპორტში მისულიყვნენ და საზღვარგარეთ გამგზავრებულიყვნენ. აეროპორტში მისულებმა აღმოაჩინეს, რომ მაიორკის რეისზე თავისუფალი ადგილები არ იყო, ამიტომ ბილეთები იბიცას რეისზე შეიძინეს, სადაც სასტუმროში ადგილები არც კი ჰქონდათ დაჯავშნილი.

მთელი დასვენების დღეები მეგობრებმა სხვადასხვა წვეულებაზე სიარულში გაატარეს, შემდეგ კი ლონდონის რეისზე შეიძინეს ბილეთები და სახლში დაბრუნდნენ.

– უფრო ძნელი აღმოჩნდა სახლში დაბრუნება, მაგრამ ეს პრობლემა მოვაგვარეთ და ლონდონში დროულად ჩამოვფრინდით, რათა ორშაბათ დილას სამსახურში გავსულიყავით. ეს ყოველივე შოკისმომგვრელი აღმოჩნდა, თუმცა ამად ნამდვილად ღირდა, – განაცხადა ევანსმა.

ასე რომ, მეგობრები საკუთარ საქციელს არ ნანობენ და მზად არიან, მსგავსი თავგადასავალი გაიმეორონ.

# ცოლ-ქმარმა მათ სახლში შეჭრილი დათვი სამზარეულო დანით მოიგერია



ამერიკის ვისკონსინის შტატში ოჯახურმა წყვილმა მათ სახლში შეჭრილი ძუ დათვის მოგერიება სამზარეულო დანით მოახერხა, შემდეგ კი ცეცხლსასროლი იარაღით მოკლეს, რათა შვილები მტაცებელი ცხოველისგან დაეცვათ.

აღნიშნული შემთხვევა პარასკევს, 20 მაისს, გვიან საღამოს მოხდა. თავდაპირველად ცოლ-ქმარმა ცხოველი მათი სახლის მახლობლად შენიშნა. ის ჩიტებისთვის დაყრილ საკენკს შეექცეოდა. ისინი შეეცადნენ, მტაცებელი ყვირილით დაეფრთხოთ, მაგრამ დათვი არათუ დაფრთხა და გაიქცა, არამედ მათკენ გაიქცა, კარის მინა შეამსხვრია და შიგნით შეიჭრა. წყვილსა და დათვს შორის ბრძოლა გაჩაღდა. ერთ მომენტში ქალმა მოახერხა, ცხოველისთვის დანა ჩაერტყა. ამ დროს კი ქმარმა თოფი მოიტანა და ცხოველს ესროლა. ვისკონსინის შტატის ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტის თანამშრომლებმა მოკლული ცხოველი ექსპერტიზის ჩასატარებლად წაიღეს. სავარაუდოდ, მას ბელები დარჩა. წყვილმა ამ ინციდენტის შედეგად დაზიანებები მიიღო და ისინი საავადმყოფოში გადაიყვანეს, სამედიცინო დახმარების შემდეგ კი სახლში დაბრუნდნენ. მათი შვილები არ დაშავებულან.

# პატარძალმა მელოტ საქმროზე გათხოვებაზე უარი თქვა



ინდოეთის უტარ-პრადეშის შტატის ქალაქ უნაოში გაბრაზებულმა საპატარძლომ მას შემდეგ თქვა უარი, ცოლად გაჰყოლოდა სასიძოს, როდესაც ბოლო მომენტში შეიტყო, რომ ის მელოტი იყო. თავდაპირველად სასიძო ახერხებდა საკუთარი სიმელოტის დამალვას საცოლისა და მისი ნათესავებისგან, თუმცა მანდაპესკენ მიმავალ გზაზე (საქორწინო ცერემონიალისთვის განკუთვნილი ადგილი) მას თავბრუ დაეხვა და გონება დაკარგა. როდესაც მამაკაცი მიწაზე დაეცა, თავიდან პარიკი მოსძვრა და ყველამ შენიშნა, რომ ის მელოტი იყო. როგორც კი ეს საპატარძლოსთვის გახდა ცნობილი, მან უარი განაცხადა ქორწილის გაგრძელებაზე. გარშემომყოფნი მის გადარწმუნებას შეეცადნენ, მაგრამ – უშედეგოდ. საქმე პოლიციის ჩარევამდეც კი მივიდა, მაგრამ საპატარძლომ საკუთარი გადაწყვეტილება მაინც არ შეცვალა.

მოგვიანებით უხუცესთა საბჭოზე საპატარძლოს ოჯახმა განაცხადა, რომ მათ ქორწილის ორგანიზებაზე 566 ათასი რუპია დახარჯეს. სასიძოს ნათესავები მათთვის ზარალის ანაზღაურებას დათანხმდნენ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## საზოგადოება

# ირაკლი ფარჯიანის „კლოუნი“ სახელმწიფოს საჩუქრად გადაეცა



ცნობილი ქართველი მხატვრის ირაკლი ფარჯიანის ნამუშევარი „კლოუნი“ აკადემიკოს გურამ შარაძის შვილმა რუსუდან შარაძეს სახელმწიფოს საჩუქრად გადასცა.

ინფორმაცია ჟურნალისტმა ნინო მიქიაშვილმა გაავრცელა:

– სანატრელი და სასახელო შვილი: ყველაფერი ძვირფასი, რაც გააჩნდა, სახელმწიფოს აჩუქა. აკადემიკოს გურამ შარაძის მკვლელობიდან 15 წლისთავზე სახელმწიფოს საჩუქრად გადასცა ირაკლი ფარჯიანის „კლოუნი“. პლუს ამას, შვეიცარიიდან ძვირფასი ისტორიული მასალა ჩამოიტანა. პლუს ამას, მანამდე მამის მთელი კაბინეტი – ავეჯი, ბიბლიოთეკა, ნახატები, ნივთები, მის საკუთრებაში არსებული ემიგრაციის მუზეუმი აჩუქა სახელმწიფოს.

პლუს ამას, მუხლჩაუხრელად იბრძვის იმისთვის, რომ აკადემიკოს გურამ შარაძის ნამდვილი მკვლელები და მკვლელობის დამკვეთები დაისაჯონ.

ასეთი გულუხვი რომ არის, არ გეგონოთ, რომ ბევრი ფული აქვს. უბრალოდ, არაფერს იმჩნევს. ნეტავ ყველა დიდ ქართველს ასეთი შვილი ჰყავდეს.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**


## განცხადებები

● 45-წლიანი გამოცდილებით გთავაზობთ პარაფსიქოლოგის მომსახურებას – გაუმართლებლობა, ქალის ბედის გახსნა, მტრის ჩამოშორება, შებოჭილობა, დეპრესია, კოშმარული სიზმრები, პიროვნებებს შორის აგრესიები, მოღალატე ქმრის მორჯულება, ეჭვიანობა, თვითმკვლელობის სურვილი, პათოლოგიური სიმთვრალე და კიდევ მრავალი პრობლემის მოგვარება, შესაძლებელია პაციენტის გარეშეც. ფოტოსურათი აუცილებელია. ტელ: 599-49-84-23 ნანა. მიღება წინასწარი ჩაწერით.

# ერიკ ტენ ჰააგი: „კლოპისა და გვარდიოლას ჰეგემონია უნდა დასრულდეს“

მანჩესტერ იუნაიტედში ახალი ერა იწყება. ბრიტანულ კლუბს ახალი სეზონიდან ნიდერლანდელი ერიკ ტენ ჰაგი გაწვრთნის. ტენ ჰაგი აიაქსიდან გეცოდინებათ, იმ გუნდიდან, რომელმაც ფავორიტები „არ დაინდო“ და 2019 წელს სეზონის აღმოჩენად იქცა.

52 წლის ტენ ჰაგი მანჩესტერ იუნაიტედში მუშაობას მედიასთან შეხვედრით შეუდგა.

**ერიკ ტენ ჰაგი:**

– აღფრთოვანებული ვარ აქაურობით – ძალიან თბილად მიმიღეს. მოუთმენლად ველი მუშაობის დაწყებას. ახალ სეზონს მოუთმენლად ველი. თავს ისე ვგრძნობ, როგორც საკუთარ სახლში. აქ ვარ იმისთვის, რომ დიდი გამარჯვებები ერთად მოვიპოვოთ.

***– უკვე ერთი კვირაა, ინგლისში ხართ, კრისტალ პალასთან მატჩზეც იყავით. როგორია თქვენი პირველი შთაბეჭდილებები ახალ გუნდზე? რომელი რგოლებია გუნდში გასაუმჯობესებელი?***

– გავაკეთე ანალიზი და ვფიქრობ, კარგი სასტარტო პოზიცია გვაქვს. ახალ სეზონამდე რამდენიმეკვირიანი შესვენებაა. აქედან გამომდინარე, ანალიზი კიდევ გაკეთდება, ვაკვირდები, ვაკეთებ გარკვეულ დასკვნებს. სწორად გამიგეთ, ჯერ ამ ყველაფერს ჩემთვის ვინახავ, მაგრამ დროებით, მალე ყველაფერს გეტყვით.

***– დარწმუნებული ხართ იუნაიტედის შემობრუნებაში?***

– ჯერჯერობით დარწმუნებით ერთი რამ შემიძლია ვთქვა – იმ შეხვედრებიდან, რომლებიც გავმართე, კარგი განცდა მაქვს. გვაქვს გეგმა და მთავარია ამ გეგმის ეტაპობრივად შესრულება. უნდა ვიყოთ თანმიმდევრულები. სწორი მუშაობით მივაღწევთ იმ წარმატებას, რომლისკენაც ვისწრაფვით.

***– გვითხარით ამ გეგმების შესახებ.***

– გეგმა უზარმაზარია, სასაუბრო დრო – ცოტა. გეგმას ჯერ პერსონალს გავაცნობთ, შემდეგ – ფეხბურთელებს. მალე ყველა გაიგებთ, რა გეგმებიც გვაქვს და რასაც ვაკეთებთ.

***– თქვენმა წინამორბედმა რალფ რანგნიკმა თქვა, რომ ამ კვირაში თქვენთან საუბარს აპირებს. მის ჩამონათვალში 10 აუცილებელი ნაბიჯია.***

– როგორც გითხარით, ჯერ კიდევ ანალიზის პროცესში ვარ. ველი ფეხბურთელებთან მუშაობის დაწყებას. 2020-21 წლის სეზონში გუნდი პრემიერლიგაში მე-2 ადგილზე გავიდა. ამიტომ, ვფიქრობ, დიდი პოტენციალი არის. თუ შევძლებთ ამ ფეხბურთელებთან სწორად მუშაობას, იმაზე მეტს მივიღებთ, ვიდრე ახლა არის.

***– და მაინც, თქვენი პირველი ნაბიჯები რა უნდა იყოს?***

– პირველი ნაბიჯია, რასაც ახლა ვაკეთებთ – წინასასეზონო გეგმა, რომელზეც მუშაობა დაწყებულია.

***– სანახაობრიობის კუთხით ბევრი რამ არის გუნდში შესაცვლელი. მანჩესტერ იუნაიტედში ზოგადად ატმოსფეროს შეცვლაზე თუ გიფიქრიათ?***

– ყოველთვის უნდა ვიცოდეთ, ამა თუ იმ კლუბის სულში რა დევს. მწვრთნელებს იმიტომ გვნიშნავენ, რომ კლუბსა და მის ისტორიას რაღაც ახალი უნდა მოვიტანოთ, რაღაც ახალი შევძინოთ. ახალი დინამიკაა საჭირო. თუ გინდა, მიაღწიო მწვერვალს, უნდა გქონდეს ამის მოთხოვნა და ეს არის ის, რისთვისაც ჩვენ მზად ვართ.

***– 9 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც იუნაიტედმა პრემიერლიგის ბოლო ტიტული მოიგო. რეალურად რამდენი დრო დასჭირდება გუნდს ამ წარმატების გამეორებისთვის?***

– ახლა ამაზე ნამდვილად არ ვფიქრობ. ერთი რამ ვიცი – ყველაფერს დრო სჭირდება, მაგრამ, ისიც ვიცი, რომ ისეთ კლუბებში, როგორებიც იუნაიტედი, აიაქსი და ბაიერნია, მწვრთნელს არასოდეს გაქვს ბევრი დრო. გულშემატკივარი ყველა თამაშის მოგებას ითხოვს. თამაშიდან თამაშამდე უნდა ვიაროთ პროგრესის გზით და ვნახავთ, რა გამოვა.

***– როცა იუნაიტედში სამსახური შემოგთავაზეს, არ გიფიქრიათ, რომ ეს თქვენი რეპუტაციისთვის დიდი რისკი იქნებოდა?***

– ეს რისკად არ მიმაჩნია. ამ კლუბს დიდი ისტორია აქვს და ახლა ახალი მომავალი უნდა შევქმნათ. ძალიან საინტერესოა ამის გაკეთება იმ ადამიანებთან ერთად, რომლებიც კლუბში არიან. ჩვენ წინ წავალთ ყოველდღიურად. ვიმუშავებთ მტკიცედ, თუ საქმის მიმართ 100%-ით ერთგული ვიქნებით და, დარწმუნებული ვარ, წარმატებას მივაღწევთ.

***– რას იტყვით პრემიერლიგაზე?***

– ფანტასტიკურია! ევროტურნირებზე პრემიერლიგის დიდ მწვრთნელებსა და დიდ გუნდებს უკვე შევხვდი. ასე რომ, ვიცი, რა და როგორ უნდა გავაკეთო. პრემიერლიგა უდიდესი ლიგაა მსოფლიოში. მოუთმენლად ველი მომავალ ბრძოლებს!

***– სამუშაოს დაწყებამდე მიიღეთ რჩევები იმაზე, თუ როგორია ასეთ კლუბში ყოფნა?***

– რა თქმა უნდა, ვესაუბრე ხალხს, რომელთაგან გარკვეული იდეები მივიღე.

***– როგორ ფიქრობთ, თქვენი მუშაობა ევოლუციის პროცესთან იქნება დაკავშირებული თუ გუნდს რევოლუცია სჭირდება?***

– ვფიქრობ, ჩვენ უნდა ვიმუშაოთ და უნდა დავისახოთ მკაფიო მიზნები, მკაფიო სტრატეგია. შემდეგ გვჭირდება ხალხი, რომელთაც აქვთ შესაძლებლობები, თავიანთი სწორი და პოზიტიური დამოკიდებულებით ამ მიზნებსა და სტრატეგიას ფრთები შეასხან.



***– და მაინც, როგორ ითამაშებს თქვენი გუნდი?***

– აიაქსი გინახავთ? მე ეს მომწონს. მაგრამ თამაშის ხარისხი მოთამაშეებზეა დამოკიდებული – ამ პროცესს ისინი კარნახობენ.

***– თუ ესაუბრეთ ლუის ვან გაალს ან დელეი ბლინდს კლუბის შესახებ?***

– ველაპარაკე უფრო მეტ ადამიანს, რომლებსაც ამ კლუბთან ურთიერთობის გამოცდილება აქვთ, ველაპარაკე ექსპერტებს.

***– ვან გაალთან საუბარზე გკითხეთ.***

– დიახ, ველაპარაკე. ვიყავი მასზე გადაღებული ფილმის პრემიერაზეც.

***– არსებობს რწმენა, რომ ვერავინ მოიგებს ტიტულს, სანამ პრემიერლიგა კლოპისა და გვარდიოლას დომინირების ციკლშია. ეთანხმებით ამ აზრს?***

– ვეთანხმები იმ აზრს, რომ ისინი დიდებული მწვრთნელები არიან. აღფრთოვანებული ვარ ორივეთი! ამ მომენტისთვის ლივერპული და სიტი ფანტასტიკურ ფეხბურთს თამაშობენ. რაღაც ეპოქა ყოველთვის შეიძლება დასრულდეს. მოუთმენლად ველი მათთან ბრძოლას.

***– შეიძლება, ეს ეპოქა დასრულდეს მანამ, სანამ ისინი ჯერ კიდევ პრემიერლიგაში მუშაობენ?***

– ვფიქრობ, შევძლებთ მათი ჰეგემონიის დასრულებას!

***– ესაუბრებით თუ არა ფეხბურთელებს ამ კვირაში?***

– არა, ფეხბურთელებთან ჯერ არა. ახლა მათ დასვენება სჭირდებათ. მათ ივლისის პირველ კვირას შევხვდები.

***– რა მხარდაჭერა გჭირდებათ კლუბის ხელმძღვანელობისგან?***

– ნაყოფიერი შეხვედრები გვქონდა. ვფიქრობ, რომ ჩვენ ერთსა და იმავე აზრზე ვართ. ეს არის კარგი პლატფორმა საქმის დასაწყებად. მაქვს ჩემი პროექტის რწმენა.

***– არის თუ არა მსგავსება ამ სამუშაოსა და იმას შორის, რომლითაც აიაქსში მიხვედით?***

– მსგავსება არის. 2-ვე კლუბის ფერებში არის წითელი და 2-ვე კლუბი მიჩვეულია წარმატებებს. ვფიქრობ, ეს არის ყველაზე დიდი მსგავსება.

***– კრიშტიანუ რონალდუ თქვენს პროექტში ჯდება?***

– რა თქმა უნდა!

***– რის მოტანა შეუძლია მას გუნდისთვის მომავალ სეზონში?***

– გოლების.

***– მისგან ლიდერობას ითხოვთ?***

– უმჯობესია, ამაზე თავად რონალდუს დაველაპარაკოთ.

***– მიმდინარეობს დისკუსია იმაზე, თუ ვინ უნდა იყოს იუნაიტედის კაპიტანი. ფიქრობთ, რომ ჰარი მაგუაირი უნდა დარჩეს კაპიტნად?***

– დავივიწყოთ, რა იყო წინა სეზონში. შემდეგი სეზონი სულ სხვა სეზონია. ვფიქრობ, მან შესანიშნავად შეასრულა სამუშაო, შესანიშნავი ფეხბურთელია, უკვე ბევრს მიაღწია და გუნდში დიდი წვლილი აქვს. მასთანაც ძალიან საინტერესო იქნება მუშაობა.

***– რას იტყვით ვან გაალის კომენტარზე, რომ იუნაიტედი კომერციული კლუბია?***

– ჩემი აზრი მაქვს და, დარწმუნებული ვარ, ასე არ არის. ამის შესახებ დირექტორებს ველაპარაკე. დღეს ყველა კლუბი კომერციულია, დღეს ყველას სჭირდება ეს წარმატების მისაღწევად. თქვენ უნდა გააკეთოთ ის, რაც გჭირდებათ, მაგრამ ამ კლუბში მთავარია ფეხბურთი.

***– ყოფილ შეგირდ დონი ვან დე ბეეკთან მუშაობას მოუთმენლად ელით?***

– რა თქმა უნდა! აიაქსში ფანტასტიკური შემადგენლობა გვყავდა. ნამდვილად კარგი ურთიერთობა მაქვს მასთან და მოუთმენლად ველი ხელახალ შეხვედრას!

# ბათუმის დინამოს სავარაუდო მეტოქეები ცნობილია

საქართველოს ჩემპიონმა ბათუმის დინამომ ჯერ კიდევ დეკემბერში იცოდა, რომ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე ითამაშებდა. ევროპის ქვეყნებში კი სეზონი ახლახან დასრულდა და გაირკვა ყველა ის სავარაუდო მეტოქე, რომლებიც, შესაძლოა, ზღვისპირულ გუნდს შეხვდნენ.

დინამო განუთესავია, შედეგად, გია გეგუჩაძის გუნდს უფრო მაღალი კოეფიციენტის მეტოქე ეყოლება. საქართველოს ჩემპიონის სავარაუდო მეტოქეები არიან:

ყარაბაღი (აზერბაიჯანი), მალმიო (შვედეთი), ლუდოგორეცი (ბულგარეთი), შერიფი (მოლდოვა), კლუჟი (რუმინეთი), ბოდო გლიმტი (ნორვეგია), ფერენცვაროში (უნგრეთი), მარიბორი (სლოვენია), სლოვანი (სლოვაკეთი), ჰიკი (ფინეთი), ნიუ სეინტსი (უელსი), დუდელანჟი (ლუქსემბურგი), ჟალგირისი (ლიეტუვა), ლინკოლნი (გიბრალტარი), შემროკ როვერსი (ირლანდია).

ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრა 14 ივნისს გაიმართება.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# სუპერლიგის ფინალი გაიხსნა

საკალათბურთო სუპერლიგის ფინალური სერია გაიხსნა. ქუთაისის სპორტის სასახლეში ადგილობრივი გუნდისა და ოლიმპის დაპირისპირებისას შესანიშნავი ატმოსფერო სუფევდა. დარბაზი სავსე იყო ქომაგებით, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა, ცხადია, ქუთაისელებს ქომაგობდა. თამაშმაც გაამართლა მაყურებელთა მოლოდინი და საინტერესოდ ხომ წარიმართა, შედეგიც დარბაზში შეკრებილთა უმეტესობისთვის მისაღები დაფიქსირდა.

კოტე ტულუშის გაწვრთნილმა ქუთაისმა შესანიშნავი ბოლო პერიოდი ჩაატარა და დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა – 96:88. არადა, ბოლო პერიოდის წინ ოლიმპელები 8 ქულით – 64:56 იგებდნენ და გამარჯვების უკეთესი შანსიც ჰქონდათ. დავით როგავას გაწვრთნილმა გუნდმა 3 პერიოდი სტაბილურად ჩაატარა და გამარჯვებისკენ გეგმაზომიერად მიდიოდა, მაგრამ ბოლო პერიოდში ფინალური მატჩებისთვის სარეკორდო ანგარიში დაფიქსირდა. მასპინძლებმა 10-წუთეული 40:24 მოიგეს და საბოლოოდ გამარჯვება გაიფორმეს. აღსანიშნავია, რომ 40 ქულის ერთ პერიოდში ჩაგდება იშვიათი ამბავია, მით უფრო, ფინალური სერიის მატჩში და ეს ტულუშის გუნდმა მოახერხა. ქუთაისელთა ამ წარმატებაში დიდი წილი შორ სროლებს უკავია – ბოლო 10 წუთში მასპინძლებმა 6 სამქულიანი ჩააგდეს, რომელთაგან 3 სტივენ ფლეჯერის ანგარიშზეა, 2 – ოთარ ფხაკაძის, ერთიც გუნდის ვეტერანმა და კაპიტანმა გიორგი ბარბაქაძემ მიითვალა. ქუთაისელებმა მეტოქე შორი სროლებით გატეხეს და გამარჯვებამდე ისე მივიდნენ, დასკვნით წუთებზე თამაში არ დაძაბულა.

ქუთაისელთა რიგებში 28 ქულით საუკეთესო სტივენ ფლეჯერი იყო; ოთარ ფხაკაძემ 21 ქულა მიითვალა; გიორგი კორსანტიას ანგარიშზე კი 14 ქულა დაგროვდა. ოლიმპში 22 ქულითა და 9 მოხსნით ედვარდ ეკიორი გამოირჩა; 21 ქულა დავით ლომიძის ანგარიშზეა, ხოლო სამმა კალათბურთელმა – ილია ლონდარიძემ, კევინ ობერვაიზერმა და კახა ჯინჭარაძემ – 10-10 ქულა მოაგროვეს. ფინალური სერია 3 მოგებამდეა. მეორე შეხვედრას ისევ ქუთაისი უმასპინძლებს, შემდეგ კი სერია თბილისში გადმოინაცვლებს.



## სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა.

**მადლიერ პაციენტთა რიცხვი ათასობითაა:**

**ლია თეთრაშვილი:** მქონდა მკერდის გამაგრება, მასტოპათია. ლამარა თოდუას მკურნალობით მთლიანად განვიკურნე.

**კლარა წიტაიშვილი:** კორონას შემდეგ დამეწყო საშინელი თმის ცვენა. ვცადე ძალიან ბევრი საშუალება, მაგრამ უშედეგოდ. ლამარა თოდუას წამლებმა თმის ცვენა ხომ შემიჩერა და თმა გაცილებით ხშირიც გამიხდა. ვისაც მსგავსი პრობლემა აქვს, ვურჩევ მიაკითხოს ქალბატონ ლამარას.

**თინა სორდია:** კორონამ დამიტოვა საშინელი ხველა და ქოშინი. ლამარა თოდუას წამლების მიღებიდან მესამე დღესვე შემისუსტდა ხველა, გულიც აღარ მეღლება. 5-6 დღის შემდეგ ძილიც გამიუმჯობესდა.

**ლილი კიზირია:** 83 წლის დედას წლები აწუხებდა ჰაიმორიტი, არც კი მჯეროდა, რომ მორჩებოდა, თოდუოების მალამოთი დედა დღეს თავს შესანიშნავად გრძნობს.

დღესასწაულების შემდეგ, ხშირად უჩივიან გულძმარვას (იჟოგას), ლამარა თოდუას გამწმენდი სითხეებით პრობლემა მოგეხსნებათ.

გაზაფხულზე ავიტამინოზი ხშირად თმის ბუდობრივი ცვენის მიზეზი ხდება. ლამარა თოდუა თავისი მალამოებით თმის ამოსვლის გარანტიას პირდება ყველა პაციენტს, ვინც მას მიაკითხავს.

ლამარა თოდუას მადლიერების წიგნი 5 ათასამდე მორჩენილი პაციენტის ჩანაწერებს ითვლის, სადაც ხშირად ამოიკითხავთ – „განვიკურნე სრულიად“.

ლამარა თოდუა კვალიფიციური კოსმეტოლოგია და მის მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს. არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

**მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**


## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. სახელმწიფო გადატრიალების მომწყობი სამხედროების ჯგუფი; 2. კანიონი ხონის რაიონში; 3. პატარა ალამი, დროშა; 4. კანადელ ესკიმოსთა ყინულის ქოხი; 5. დაბალხარისხოვანი თამბაქო; 6. სამშენებლო მინერალი, მოსაპირკეთებელი ქვა; 9. მკურნალობა სისხლის გადასხმით; 10. ადამიანის გონებრივი განვითარების დონე; 11. აფხაზეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 14. ხის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 16. სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტის კორპუსის ნაწილი; 18. ლუდხანის ოფიციანტი გერმანიაში; 20. მხარე გერმანიაში; 23. ადამიანის გარემომცველი ბიოველი; 24. აფრიკული ცხოველი; 25. ძველად საქართველოში მამასახლისის ხელქვეითი მოხელე სოფლად; 26. ხოხბის, კაკბის, გნოლის ბარტყი.

**თარაზულად:** 7. აჭარული ცეკვა; 8. ცურვის ერთ-ერთი სტილი; 12. ცხოველთა სამყარო; 13. ფუტკრის მიერ გამომუშავებული მოყვითალო ფერის ნივთიერება; 15. ქიმიური ნივთიერება, აირი; 17. საფოსტო გზავნილი; 19. დიდ ფართობზე გაშენებული ვენახი; 21. ფულის ერთეული პოლონეთში; 22. მტაცებელი ფრინველი; 27. ნახატის, წარწერის ამოკვეთა ლითონზე, ქვაზე ან ხეზე; 28. კუჭ-ნაწლავის ნორმალური მოქმედების დარღვევა.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ქონდაქარი; 2. ბენიასა; 3. ბადაგი; 4. გენკი; 5. სტრიპი; 11. ბრონტე; 12. ფრახტი; 14. ჯაზი; 16. ენოთეკა; 17. კოლხეთი; 19. კოროზია; 21. მაცნე; 22. დიქტი.

**თარაზულად:** 6. მოწამეთა; 7. ოცელოტი; 8. კასიო; 9. კაბურა; 10. გერბი; 13. ბრიჯი; 15. დენონსაცია; 18. სელტიკი; 20. ოშკი; 21. მოპედი; 23. ბარმაქსიზმი; 24. თუთუნი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. შაირი; 2. ყველი; 3. ანორაკი; 4. დოლი; 5. კედი; 6. ატაკამა; 9. საგინაშვილი; 10. აშპაშხანა; 11. შუშაბანდი; 14. პაქტი; 16. ზეიმი; 18. ნიამორი; 20. ყურძენი; 23. ფიდე; 24. ვარნა; 25. ფრეზა; 26. ბოტი.

**თარაზულად:** 7. ონტოლოგია; 8. რეზერვატი; 12. მარში; 13. მუყაო; 15. ელისო; 17. ქონდაქარი; 19. ხავსი; 21. საუნა; 22. ოდერი; 27. ტრუბადური; 28. რესტორანი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


26 მაისი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.8598

ევრო — 3.0488

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.5725

100 რუსული რუბლი — 5.0012

## ამინდის პროგნოზი 26 მაისისათვის




## მემფის დეპაიმ შესაძლოა კარიერა ინგლისში გააგრძელოს



მემფის დეპაიმ შესაძლოა კარიერა ინგლისში გააგრძელოს იმ შემთხვევაში, თუ ბარსელონა მასზე უარს იტყვის და გაყიდვას შეეცდება.

დეპაიმ რამდენიმე განცხადება გააკეთა იმის თაობაზე, რომ ბარსელონაში სურს დარჩენა, მაგრამ ყველაფერი მასზე არ არის დამოკიდებული.

დეპაის ყიდვის მსურველებს მასში 20 მილიონის გადახდა მოუწევთ, თუმცა შესაძლოა ეს თანხა გაიზარდოს კიდეც.

## ლევანდოვსკის ბარსელონაში ტრანსფერი გაჭიანურდა



რობერტ ლევანდოვსკის ბარსელონაში ტრანსფერი გაჭიანურდა და ამის მიზეზი სატრანსფერო თანხაა, რომლის გადახდასაც ბარსელონა არ აპირებს. საუბარი 50 მილიონ ევროზეა. შესაძლოა, ბაიერნმა ფასს დაუკლოს იმ შემთხვევაში, თუ მათ ლევანდოვსკის შემცვლელი იპოვეს. თუ ასე არ მოხდა, მაშინ არის შესაძლებლობა, რომ ლევანდოვსკი ბაიერნში დარჩეს.

## ლუკა მოდრიჩმა მბაპეზე ისაუბრა



მადრიდის რეალის ხორვატმა ნახევარმცველმა ლუკა მოდრიჩმა კილიან მბაპეზე ისაუბრა და თქვა, რომ მის გარეშე რეალი მაინც ძლიერი იქნება და ერთი ფეხბურთელი ამ გუნდისთვის გადამწყვეტი არ არის:

— სამწუხაროა, რომ მბაპეს რეალში ვერ ვიხილავთ, მაგრამ ეს ჩვენს მომავალზე გავლენას არ იქონიებს. რეალს უამრავი ძლიერი ფეხბურთელი ჰყავს, რომლებსაც შედეგის მიღწევა შეუძლიათ.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## იულონ გაგოშიძე გაათავისუფლეს



86 წლის მეცნიერი იულონ გაგოშიძე სამსახურიდან გაუშვეს.

ინფორმაცია მისმა შვილიშვილმა სოფო გაგოშიძემ გაავრცელა:

— კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებული ინსტიტუციებიდან ბოლო ორი გაგოშიძე გაათავისუფლეს: დათა და იულონი.

მიხარია, რომ იმ ჭაობთან, რომელიც მინისტრის თაოსნობით შეიქმნა კულტურის სფეროში, არ ვასოცირდებით და ისტორიის — რომელიც აუცილებლად ასახავს ამ ყველაფერს — თავისდაუნებურად, დადებით მხარეს მოგვაქციეს.

დიდი მადლობა ქალბატონო ვიცეპრემიერო!

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## იუმორი

ერთი ქალი მეორეს ეკითხება:

— რა არის კაქტუსი?

— კაქტუსი ცხოვრებაზე გულგატეხილი კიტრია.

●●●

უნივერსიტეტში მისაღები გამოცდის დროს გამომცდელი აბიტურიენტს ეკითხება:

— და ბოლოს, თუ შეიძლება, მიპასუხეთ, რატომ გადაწყვიტეთ ჩვენს უნივერსიტეტში ჩაბარება?

— მამა, გეყოფა სულელური კითხვების დასმა...

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

— რა აზრის ხარ ვეგეტარიანელობაზე?

— შენ თუ გსმენია ოდესმე: უჭკუო ლომი, სულელი ლეოპარდი, შტერი გეპარდი?

— არა.

— და ძროხასა და ცხვარზე?

— კი.

— ჰოდა, საქმეც მაგაშია!

●●●

ერთი ქალი მეორეს ეუბნება:

— საკმარისია, ჩემთან მამაკაცმა ღამე გაათიოს, რომ მთელმა სამეზობლომ იცის, ხოლო ბინა რომ გამიქურდეს, მაშინ ყველას მკვდარივით ეძინა.

●●●

გოგონას ეუბნებიან:

— როგორც წესი, ლამაზ გოგონას დაქალი სულელი ჰყავს.

— რა სისულელეა, ჩემი დაქალი ულამაზესია.

— აი, ხედავ, სულაც არ ყოფილა სისულელე.

●●●

ცოლი ქმარს ეუბნება:

— ძვირფასო, ჯიბის ფული მომეცი რა.

— რამდენი?

— ათასი ლარი...

— რა ჯიბეები გაქვს ასეთი!!!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## დემნა ყველაზე გავლენიანი ადამიანების ასეულშია




ქართველი დიზაინერი დემნა „თაიმსის“ 2022 წლის ყველაზე გავლენიანი ადამიანების ასეულში მოხვდა.

ის ასეულში პროფესიით ერთადერთი დიზაინერია და ეროვნებით ერთადერთი ქართველია.

დემნა პროფესიული წარმატების ზენიტშია — ბალენსიაგას ნიუ იორკის შოუზე მან ადიდასთან თანამშრომლობით შექმნილი კოლექცია წარადგინა.

კოლექცია უკვე გაყიდვაშია როგორც ბალენსიაგას, აგრეთვე ადიდასის ოფიციალურ ვებგვერდებზე.

## „მასტერშეფი“ გიორგი მღვდელაძემ დატოვა



კულინარიული შოუს „მასტერშეფის“ მორიგი საკონკურსო ტური წარუმატებელი გიორგი მღვდელაძისთვის აღმოჩნდა. პროექტის სამზარეულო სწორედ მან დატოვა.

შეფების მიერ დავალებული კერძების მომზადების შემდეგ ლუკა ნაჭყებიამ, თეკუნა გაჩეჩილაძემ, ლევან კობიაშვილმა და კონსტანტინე თედელურმა გავარდნის კანდიდატები დაასახელეს. მათ შორის შოუში დარჩენის შანსი სწორედ გიორგის არ მიეცა.

## ნიკოლოზ წულუკიძე ეთერში ბრუნდება



თეატრმცოდნე ნიკოლოზ წულუკიძე ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში ბრუნდება.

გადაცემა „იმედის დღის“ წამყვანებმა მარიკა ბაკურაძემ და ეკა ამირეჯიბმა ეს სასიხარულო ინფორმაცია მაყურებელს პირდაპირ ეთერში ახარეს.

26 მაისიდან ნიკოლოზი მონატრებულ მაყურებელს კვლავ მიესალმება და საინტერესო სტუმრებთან ერთად საინტერესო ამბებს მოგვითხრობს.

## კირა მებუკე 70 წლის გახდებოდა




საქართველოს პირველი მიმი ქალი კირა მებუკე 70 წლის გახდებოდა. მთელი ცხოვრება ხელოვანმა ქართულ პანტომიმას მიუძღვნა და არაერთი ნიჭიერი თაობა აღზარდა.

ქართული პანტომიმის დედოფალი სიცოცხლის ბოლომდე მეუღლესთან, ამირან შალიკაშვილთან ერთად ქართული პანტომიმის განვითარებისთვის იბრძოდა.

სხვადასხვა წელს მან მიიღო არაერთი პრიზი და ჯილდო. მათ შორის: პრიზი ქალის საუკეთესო როლის შესრულებისთვის, მიენიჭა საქართველოს დამსახურებული არტისტის წოდება, იყო პანტომიმის თეატრის მთავარი რეჟისორი, ასწავლიდა პანტომიმასა და პლასტიკას შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო თეატრალურ უნივერსიტეტში, გადაეცა ღირსების მედალი საქართველოს პანტომიმის სახელმწიფო თეატრის შემოქმედებით საქმიანობაში შეტანილი წვლილისა და ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, მიიღო ღირსების ორდენი, გახდა საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი, მოგვიანებით კი — ასოცირებული პროფესორი სამსახიობო (პანტომიმის თეატრის მსახიობის) მიმართულებით.

ქართული თეატრის წინაშე განსაკუთრებული ღვაწლისათვის ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის მედალი გადაეცა.

— ჩვენს გულებსა და მოგონებებში ისევ შემორჩენილია სითბო, რომელსაც ეს უნიკალური ადამიანი ასხივებდა. მისი ნატვრებისა და ოცნებების ასრულებისთვის დაუღალავად ვიშრომებთ და ჩვენ აუცილებლად ავაშენებთ თეატრს! — ამბობენ პანტომიმის თეატრის შემოქმედებითი ჯგუფის წევრები.

## ბაადურ წულაძის ოჯახმა საქართველოს მუზეუმს უნიკალური რელიკვია გადასცა



ორბელიანების სასახლეში გაიმართა მართლმადიდებელი სარწმუნოებისთვის დევნილი და თავშეწირული სასულიერო პირის, დეკანოზის — ლავრენტი წულაძის ფილონის (შესამოსელის) საქართველოს მუზეუმისთვის გადაცემის ცერემონიალი. აღნიშნული ფილონი თითქმის 100 წლის განმავლობაში ინახებოდა ლავრენტი წულაძის შვილიშვილების — ლედი და ბაადურ წულაძეების ოჯახში.

ინფორმაცია რეჟისორმა ოლიკო ჟღენტმა გაავრცელა:

— ამავე ღონისძიების ფარგლებში მოეწყო გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო როგორც ჩემ მიერ მოძიებული, ასევე, ლედი წულაძისა და რაიბულ ჩხაიძის მიერ ჩემთვის მოწოდებული უნიკალური საარქივო და დოკუმენტური მასალები, მათ შორის, ლავრენტი წულაძის პუბლიცისტიკა — მოწოდებისთვის მადლობა ლევან თაქთაქიშვილს, თარგმანები, ესეისტიკა, ფოტოები, წერილები.

ექსპონატებს შორის უნდა აღინიშნოს ტყავის სათუთუნე, რომელიც დიდმა მგოსანმა ვაჟა ფშაველამ 1908 წელს პირადად უსახსოვრა თავის სულიერ მეგობარს — ლავრენტი წულაძეს. პირადად ჩემთვის ძალზე საინტერესო იყო იმ მასალებზე მუშაობა, რომლებიც ამ პიროვნების ცხოვრებასა და მარტვილობას უკავშირდება.

ასევე წილად მხვდა პატივი, რომ დამსწრე საზოგადოებისთვის უფრო ახლოს გამეცნო და წარმედგინა ლავრენტი წულაძის, როგორც საეკლესიო და საერო მოღვაწის, პუბლიცისტის, მთარგმნელის, ორატორის მრავალმხრივი მოღვაწეობა. მისი მოწამეობრივი ღვაწლი, სამწუხაროდ, მივიწყებულია და ნამდვილად საჭიროებს უფრო მეტ წარმოჩენასა და პოპულარიზაციას.

მიწვეულ სტუმრებს ბევრი მნიშვნელოვანი ფაქტი და სიახლე მიეწოდა ბაადურის დიდი და სახელოვანი წინაპრების შესახებ.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ასტროპროგნოზი



26 მაისისათვის

**ვერძი** — ეს დღე საინტერესო ნაცნობობას გიქადით. იზრუნეთ საკუთარი პროფესიონალიზმის სრულყოფაზე. **კურო** — ბედი გწყალობთ. გარშემომყოფებთან ჰარმონიული ურთიერთობა გაქვთ. ერიდეთ ფიზიკურ დატვირთვას. **ტყუპები** — მატერიალურ მდგომარეობას არ უჩივით. შესაძლოა, ხელსაყრელი შემოთავაზებაც მიიღოთ. ნუ დაწვრილმანდებით. **კირჩხიბი** — თავს მხნედ გრძნობთ. განეწყვეთ ოპტიმისტურად. კამათში ნუ ჩაერთვებით. **ლომი** — შესაფერისი დღეა საქმიანი კონტაქტებისათვის, საყოფაცხოვრებო პრობლემების მოსაგვარებლად. ძველ მეგობარს აუცილებლად შეეხმიანეთ. **ქალწული** — ვარსკვლავები გმფარველობენ. ახალი საქმე თამამად დაიწყეთ. ჰარმონიული და მშვიდი დღეა. **სასწორი** — იმედიანად ხართ. ბედი არ გიმტყუნებთ. კარგი იქნება ფიზიკური დატვირთვა, ფეხით სეირნობა. **მორიელი** — დაძაბული პოლიტიკური მდგომარეობა თქვენს ფსიქიკაზეც მოახდენს გავლენას. ბედს მიენდეთ. ვერაფერს შეცვლით. **მშვილდოსანი** — თქვენი მომხიბვლელობის წყალობით მრავალი ადამიანის გულს მოინადირებთ. პირად ცხოვრებაში მოულოდნელი ცვლილებები მოხდება. **თხის რქა** — კეთილისმყოფელი პერიოდი გიდგათ. ახალი ინფორმაციის გამო, შესაძლოა, გეგმები შეგეცვალოთ. **მერწყული** — გიმახვილდებათ ინტუიცია. შეგიძლიათ, სამომავლო გეგმები თამამად დასახოთ. არ მოტყუვდებით. **თევზები** — სასიცოცხლო ენერგია გემატებათ. საკუთარი ძალების იმედი იქონიეთ. გაუფრთხილდით ოჯახურ ურთიერთობებს.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი ა




**შვეულად:** 1. ცხენების შემსწავლელი მეცნიერება; 2. შინამრეწველური წესით დამზადებული აბრეშუმის ქსოვილი; 3. იაპონიის იმპერატორთა ტიტული; 4. ისტორიული ციხე-სიმაგრე ხაშურის რაიონში; 5. აპკი, რომელიც ფარავს ფილტვებსა და გულმკერდის ღრუს კედლებს; 11. კიპლინგის ნაწარმოები; 12. მოწყობილობა აკრობატული ხტომებისთვის; 14. ტურისტთა მეგზური; 16. თეატრი ლონდონში, სადაც იდგმებოდა შექსპირის ტრაგედიები; 17. ინგლისელი ქართველოლოგი, „ვეფხისტყაოსნის“ პროზაულად მთარგმნელი; 19. აღმოსავლეთის ქვეყნებში გავრცელებული თამბაქოს მოსაწევი მოწყობილობა; 21. წვრილი წვიმა; 22. უნგრული ღვინო.

**თარაზულად:** 6. ფრანგული საავტომობილო კომპანია; 7. ჩაის მწარმოებელი ქართული ფირმა; 8. შავი ან ლურჯი ნაყოფის მქონე კენკროვანი ბუჩქი; 9. მთიანეთი ევროპაში; 10. ათცენტიანი მონეტა აშშ-ში; 13. ინგლისელ კოლონიზატორთა მეტსახელი; 15. ბიბლიური ტექსტების ახსნა-განმარტება; 18. მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი სასტუმროების ქსელის მფლობელი კომპანია; 20. ზღვის წყალმცენარეებისგან მიღებული ქიმიური ელემენტი; 21. თხელი, ფურცლოვანი რკინა; 23. ჯარების განლაგება ქვეყნის ტერიტორიაზე; 24. ქართული ხალხური შრომის სიმღერა.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*